აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№16 (25.040) სამშაბათი, 14 - 15 თებერვალი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 3-8, შიდამთიან რაიონებში - 2-7 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 766 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია თოვა, მთაში - ქარბუქი.

კრიალოსა N იუსი

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი არაბთა გაერთიანებული საამიროების ვიცე-პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და დუბაის საამიროს მმართველს, მის უმაღლესობა შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმს შეხვდა. ირაკლი ღარიბაშვილმა შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმს მსოფლიოს მთავრობათა სამიტის წარმატებით ჩატარება მიულოცა და ხაზი გაუსვა სამიტში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობას. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს ორმხრივი, დინამიკური თანამშრომლობა აქვთ და მნიშვნელოვანია ეკონომიკის სფეროში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება.

* * *

ევროპარლამენტში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ რეზოლუციას კენჭს 15 თებერვალს უყრიან. შესაბამისი ინფორმაცია ევროპარლამენტის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. ევროპარლამენტში რეზოლუციის ხუთი ტექსტია წარდგენილი, რომელთაგან ორში ბიძინა ივანიშვილის შესახებაც არის საუბარი. ერთი ტექსტის ავტორია „ევროპის სახალხო პარტია“, მეორესი კი - „ევროპული კონსერვატორებისა და რეფორმისტების ჯგუფი“.

* * *

საქართველო კი არ ასცდა ევროპულ გზას, არამედ, თავად ევროპა ასცდა საკუთარ თავს - ჯერ თვითონ ევროპაა ევროპაში დასაბრუნებელი და მერე ჩვენ უნდა მივყვეთ მას, ეს რაც უფრო სწრაფად მოხდება, მით უკეთესი ევროპისთვისაც და საქართველოსთვისაც, - ამის შესახებ „ხალხის ძალის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს ევროკავშირისკენ სვლა ღირსების შელახვად არ უნდა უჯდებოდეს. „მეორადი ქვეყნის სტატუსით ევროპაში შესვლა საქართველოს არ ეკადრება“, - აცხადებს ხუნდაძე.

* * *

ჩემი აზრით, ოპოზიცია არ არსებობს. „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე „ქართულმა ოცნებამ“ აირჩია. ეს თვითონ „ქართული ოცნების“ წევრებმა იციან. რომ ჰკითხო, თვალს გიკრავენ, რომც არ დაგიდასტუროს ვინმემ. ამ წუთას „ქართული ოცნების“ ხელშია „ნაცმოძრაობა“, - ამის შესახებ „გირჩის“ ლიდერმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა. მისი თქმით, მმართველ გუნდს მალე „ნაცმოძრაობის“ გაძლიერება მოუწევს, რათა არჩევნებზე კვლავ კომფორტული მოწინააღმდეგე ჰყავდეს.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმის ბიუჯეტი 33 მილიონ 50 000 ლარით გაიზარდა

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

ბათუმის საკრებულოს დეპუტატებმა ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტის ცვლილებას გუშინ გამართულ სხდომაზე მხარი დაუჭირეს. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ედნარ ნატარიძის განმარტებით, პრიორიტეტი კვლავაც ინფრასტრუქტურა და ავარიული სახლების გამყარების პროექტებია. თანხები გათვალისწინებულია, ასევე, ჯანდაცვის, განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით, განახლდება ბათუმის ავტოპარკი.

- არსებული ბიუჯეტი 33 მილიონ 50 000 ლარით გაიზარდა. დღეისათვის მისი ხარჯვითი ნაწილი 318 მილიონს შეადგენს. ძირითად მიმართულებად კვლავაც რჩება ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებსაც 24 მილიონ ლარზე მეტი დაემატა და გზების, სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროგრამების ხელშეწყობას, კერძოდ, მრავალსართულიანი ბინების ეზოებში საბავშვო ატრაქციონების მოწყობას, სახურავებისა და სხვა პრობლემების მოგვარებას ითვალისწინებს. ავარიული სახლების პროგრამის მიმართულებით, 5 მილიონ 700 000 ლარი დაემატა და არსებული სახლების გამაგრებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ყოფილი ღამის თავშესაფრის სახლზე, მიმწოდებელ კომპანიასთან, რომელმაც ვერ შეასრულა ვალდებულება, შეწყდა ხელშეკრულება და დამატებით ახალი გამოცხადდება, რაც ბიუჯეტით გავითვალისწინეთ კიდეც. ჯანდაცვის მიმართულებით 200 000 ლარამდე გაიზარდა დაფინანსება, კულტურისა და სპორტის მიმართულებით კი დაემატა მასობრივი სპორტის სახეობა და შესაბამისად 1 მილონ 700 000 ლარამდე გაიზარდა დაფინანსება, - განაცხადა ედნარ ნატარიძემ.

ბიუჯეტის ცვლილებას ოპოზიციის ნაწილმა მხარი არ დაუჭირა. პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წამომადგენლებმა კი სხდომას ბოიკოტი გამოუცხადეს.

პარტია „საქართველოსთვის“ წევრ აკაკი გვიანიძის განმარტებით, უმრავლესობამ მათი არცერთი შენიშვნა და მოსაზრება არ გაითვალისწინა, შესაბამისად, მან ცვლილებას მხარი არ დაუჭირა.

- ძალიან ბევრი პრობლემაა შესრულებული სამუშაოების მხრივ. ბიუჯეტით გათვალისწინებულზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი პროგრამები უნდა იყოს ქალაქის ბიუჯეტში, რომელიც საგაცილებით ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოებიც კი კოლაფსის წინაშე აღმოჩნდნენ მსგავსი ტრაგედიებისას. ამიტომ ექსპერტებს უნდა დავუჯეროთ. მე დავაყენე საკითხი, საკრებულოში შექმნილიყო დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შენობების ექსპლუატაციაში მიღების საკითხს შეისწავლიდა და, ასევე, ყველა რისკს დააზღვევდა. ეს ნებისმიერი მიწისძვრის დროს უნდა ხდებოდეს ჩვენს ქვეყანაში. სამწუხაროდ, უმრავლესობამ საკითხი მნიშვნელოვნად არ მიიჩნია და მხარი არ დაუჭირა, - გვითხრა აკაკი გვიანიძემ.

პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრ სიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და აუცილებელი ამ ქალაქისთვის. ეს არის ახალი გზები, სასაფლაოს პრობლემა, უამრავი სხვა საკითხი, მაგალითად, ავარიულ სახლებთან დაკავშირებით თანხების დამატება, ამასთან, პროცესი უნდა იყოს უფრო გამჭვირვალე. ეს არ არის ასახული ამ ბიუჯეტში და შესაბამისად, მისთვის მხარდაჭერა არაფრისმომცემია ჩვენთვის. ჩემთვის, ძირითადად, შეუსრულებელი პროექტები და წელს გადმოსული თანხებია პრობლემა. ბიუჯეტის ზრდა წარმოგვიჩინეს, რეალურად კი ეს არის შარშან გაუხარჯავი თანხები. მაგალითად, არ აშენდა სამი საბავშვო ბაღი და ეს თანხა წელსაც გადმოვიდა, ასეთი არის კიდევ სხვაც. წინა წლის ნარჩენ თანხას ჩვენ ბიუჯეტის მატებად ვერ მივიჩნევთ. ერთ საკითხზეც მინდა გავამახვილო ყურადღება. იცით, თურქეთში მომხდარი ტრაგედიის მაგალითზე რამდენად მნიშვნელოვანია, ჩვენც გვქონდეს შესაბამისი რეაგირება, რადგან ჩვენზე ვაჟა დარჩიასთვის მიუღებელი აღმოჩნდა „სანდასუფთავების“ სამსახურისთვის ძვირადღირებული მანქანის შესაძენად გათვალისწინებული 40 000 ლარი. მისი განმარტებით, ჩვენს მოსახლეობას სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს, თანხებიც სწორედ ამისკენ უნდა მიიმართოს.

- მე, როგორც ოპოზიციონერი, ვერ ავიღებ ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებლობას და ბუნებრივია, არც მხარი დავუჭირე. მქონდა ერთი კონკრეტული შეკითხვა სანდასუფთავების სამსახურისთვის მანქანის შესაძენად გამოცხადებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, რაზეც ინფორმირებული ყოფილა ქალაქის მერი და პრობლემასაც ვერ ხედავს. არ მესმის, რაში უნდა დასჭირდეს უწყების დირექტორს ასეთი ძვირადღირებული ავტომობილი, დიპლომატებს ხვდება თუ საერთაშორისო დონის შეხვედრებზე დადის. 33 მილიონით გაზრდილ ბიუჯეტშიც არანაირი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ჩვენი ანნებისმიერი ოპოზიციური ჯგუფის მიერ ინიცირებული საკითხი შევიდა ამ ცვლილებაში. ამ მიმართულებითაც არანაირი პასუხი არ არსებობდა და ბუნებრივია, ამ ბიუჯეტს მხარი არ დავუჭირე, - აღნიშნა ვაჟა დარჩიამ.

ქალაქის მერისთვის, რომელიც საკრებულოს სხდომას მოადგილესთან ლელა სურმანიძესთან ერთად ესწრებოდა და დეპუტატების შეკითხვებს პასუხობდა, ოპოზიციის პრეტენზიები გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა. არჩილ ჩიქოვანის განმარტებით, ბიუჯეტის ცვლილება მოსახლეობისა და ქალაქის საჭიროებებიდან გამომდინარე განხორციელდა და ყველაფერი მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება.

- მინდა მივულოცო ჩვენი ქალაქის მოსახლეობას ბიუჯეტის მატება. ეს არის ისტორიულად მაქსიმალური თანხა, რაც ჩვენი ქალაქისთვის დაიხარჯება. პრიორიტეტად კვლავაც რჩება ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და სოციალური მიმართულებები, სპორტი, განათლება, კულტურა, სატრანსპორტო პოლიტიკა, რეკრეაციული სივრცეების მოწესრიგება და სხვა პროექტები. ეს ბიუჯეტი ამ ეტაპზე სრულიად საკმარისია, რომ ვუპასუხოთ ქალაქის წინაშე არსებულ გამოწვევებს. დანარჩენ საკითხებს რაც შეეხება, მერია ინდივიდუალურ რეჟიმში აგრძელებს კომუნიკაციას დეპუტატებთან და ქალაქის მოსახლეობასთან და რეაგირებას მოვახდენთ მათ მოსაზრებებსა თუ შენიშვნებზე. ოპოზიციის პრეტენზიებს რაც შეეხება, ერთი კონკრეტული ღონისძიებაც არ დასახელებულა მათ მიერ, ყოველ შემთხვევაში, მე არ მომისმენია, რომელი არ მოხვდა საბიუჯეტო ასიგნებებში. ჩვენ ვიცით ქალაქის წინაშე არსებული გამოწვევები, გვაქვს მოსახლეობის მხრიდანაც მოწოდებული გეგმა, თუ როგორ უნდა განვახორციელოთ ზოგიერთ გამოწვევაზე საპასუხო ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, გაზრდილი თანხა მიიმართება მიზნობრივად და აისახება ჩვენი ქალაქისა და თანაქალაქელების კეთილდღეობაზე. ოპოზიციის პრეტენზიას, „სანდასუფთავებისთვის“ ავტომობილის შეძენასთან დაკავშირებით რაც შეეხება, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ქალაქ ბათუმის ავტოპარკი ბოლოს განახლდა დაახლოებით 15 წლის წინ და ყველა საჭიროება ქალაქის მუნიციპალიტეტისთვის ეტაპობრივად განხორციელდება, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

იხ. გვ-7 ბ.

ISSN 2720-8702

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ბათუმში კოლეჯ „ბლექსის“ სასწავლო კორპუსის მშენებლობა იწყება

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქში კაფსულის ჩადების ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძესთან, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან და კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორ გიორგი გოგიტიძესთან ერთად მიიღო

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა აღნიშნა, რომ მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად ახალგაზრდები ჩვენს რეგიონში შეძლებენ ხარისხიანი განათლების მიღებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის პირობებში, რაც შემდგომში ეკონომიკურ საქმიანობაში მათი ჩართვის და კონკურენტუნარიანობის წინაპირობაა.

პროექტის ფარგლებში, აშენდება 560 სტუდენტზე გათვლილი სამსართულიანი შენობა, სადაც განთავსდება თეორიული და პრაქტიკული აუდიტორიები, ფაბლაბი, სტუდენტური სივრცე, შეხვედრების ოთახი, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, არქივი, ბუფეტი, სამედიცინო კაბინეტი და სპორტული დარბაზი. ამასთან, პროექტი 50 სტუდენტზე გათვლილ საერთო საცხოვრებლის მშენებლობასაც ითვალისწინებს.

ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ღირებულება 17 179 515 ლარს შეადგენს, 2024 წელს დასრულდება.

კოლეჯ „ბლექსში“ დაგეგმილია სხვადასხვა მიმართულების 30 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, მათ შორის, სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, სათავგადასავლო ტურიზმი, მშენებლობის წარმოება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი, ტელეკომუნიკაცია, სამკერვალო წარმოება და სხვა.

მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას მიხეილ ჩხენკელმა საქართველოში პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრა.

- მოგეხსენებათ, რომ ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, პროფესიული განათლება გახდეს კიდევ უფრო პოპულარული და მასზე წვდომა ჰქონდეს ნებისმიერი ასაკის მოქალაქეს საქართველოს ყველა რეგიონში. ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით, ინტენსიურად მუშაობს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების მიმართულებით. ახალი მასშტაბური პროექტის განხორციელების შედეგად ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქს კიდევ ერთი ევროპული სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცე შეემატება, სადაც ახალგაზრდებს ჯანსაღ და კომფორტულ გარემოში ექნებათ განათლების მიღებისა და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობა.

მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო აჭარის მთავრობას მჭიდრო თანამშრომლობისთვის. მჯერა, მრავალწლიანი ისტორიის მქონე კოლეჯი „ბლექსი“ განახლებული, თანამედროვე ინფრასტრუქტურით უფრო მრავალფეროვან პროგრამებსა და სერვისებს შესთავაზებს სტუდენტებს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, - აღნიშნა მინისტრმა.

მიხეილ ჩხენკელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციაზე. როგორც მან განაცხადა, 2022 წლიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ამოქმედდა Erasmus+ პროგრამა. ამასთან, გრძელდება მუშაობა ექსელენს-ცენტრებისა (CoE) და საერთაშორისო სასწავლებლების განვითარების მიმართულებით, რაც უცხოელი სტუდენტების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, კოლეჯებში მიმდინარე სასწავლო პროცესში 2022 წლიდან ჩართულნი არიან უცხოელი მასწავლებლები, რაც პროფესიული განათლების საფეხურზე საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის შესაძლებლობას იძლევა. ასევე, მალე ამოქმედდება უცხოური ენის ცენტრები და გაცვლითი პროგრამები შეთავაზებული იქნება სტუდენტებისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.

მიხეილ ჩხენკელმა პროფესიული განათლების ეფექტიანი მართვის სისტემის დანერგვის კუთხით ყურადღება გაამახვილა პროფესიული უნარების სააგენტოს დაფუძნებაზე. მისი განცხადებით, 2021 წელს სისტემაში უპრეცედენტო და სრულიად ინოვაციური მართვის მოდელი დაინერგა - საჯარო-კერძო პარტნიორობით დაფუძნდა პროფესიული უნარების სააგენტო, რომელსაც საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად დამსაქმებელთა შვიდი მსხვილი გაერთიანება მართავს.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროფესიული უნარების სააგენტოს პოლიტიკა და სისტემაში მიმდინარე პროექტები სრულ თანხვედრაშია საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის უმნიშვნელოვანეს ინიციატივასთან, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით, სამინისტროსა და სააგენტოს აქტიური თანამშრომლობის შედეგად, შესაძლებელი გახდა მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების კურსების გაფართოება - 2022 წელს დაფინანსდა 150-მდე პროგრამა, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად არის ჩართული კერძო სექტორიც.

კაფსულის ჩადების ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან სუხიტაშვილი და პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი თამარ ქიტიაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქში კოლეჯ „ბლექსის“ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობას სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ ახორციელებს.

საკრუიზო ლაინერზე ქართული სამუშაო ძალისთვის დასაქმების ახალი შესაძლებლობები იქმნება

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

სასტუმრო - Le Meridien-ში, აჭარის დასაქმების სააგენტოს მიზნობრივი ქვეპროგრამის - „საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა“ ფარგლებში, კურსდამთავრებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა

ქვეპროგრამის - „საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა“ მიზანია - საკრუიზო ლაინერზე ქართული სამუშაო ძალისთვის დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნა, არალეგალური შრომითი მიგრაციის შემცირება და ადგილობრივი შრომის ბაზრის საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტებით უზრუნველყოფა.

აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ბარკალაია, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირაკლი თავდგირიძე, საკრებულოს წევრი ნინო ცხვარაძე და აჭარის მთავრობის წარმომადგენლები.

პროფესიული მომზადების პროგრამის - „სამგზავრო გემის მიმტანი“ მოკლევადიანი სასწავლო მოდული ევროკავშირი საქართველოსთვის პროექტის - „ისწავლე დასაქმებისთვის!“ ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა.

სწავლება მოიცავდა: გემზე მიმტანის პროფესიული მიმართულებით - თეორიულ და პრაქტიკულ კურსს, ინგლისურ ენაში არსებული ცოდნის ამაღლებას და პროფესიისთვის საჭირო ტერმინოლოგიის შესწავლას, მეზღვაურთა სერტიფიცირების კურსს - STCW კონვენციისა და IMO მოდელ კურსების მოთხოვნების შესაბამისად ქვეპროგრამით ისარგებლა 25-მა ბენეფიციარმა. პროფესიული მომზადების პროგრამის - „სამგზავრო გემის მიმტანი“ კურსდამთავრებულებს, უახლოეს ხანში, კომპანია Columbia Shipmanagement Georgia სამგზავრო ლაინერებზე დასაქმებს.

თემასთან დაკავშირებით გვესაუბრა აჭარის დასაქმების სააგენტოს დირექტორი თემურ კახიძე.

- „საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა იძლევა, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ხელმისაწვდომის რეალურ შესაძლებლობას, ასევე, ამცირებს არალეგალური შრომითი მიგრაციით გამოწვეულ რისკებს და რაც მნიშვნელოვანია, ადგილობრივ ბაზარს უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური, გამოცდილი, საერთაშორისო გამოცდილების მქონე კადრებით. ამ მომენტისთვის სააგენტოს დაახლოებით 300-ზე მეტი ვაკანსია შესთავაზა ორმა კომპანიამ, თუმცა პროექტის ფარგლებში იყო ჩართული დამსაქმებელი Columbia Shipmanagement-ი, რომელიც უახლოეს დღეებში კურსდამთავრებულებთან დასაქმების პროცესს დაიწყებს.

კომენტარი ასევე გააკეთა პროგრამის „სამგზავრო სფეროში მიმტანის“ მონაწილემ ბონდო მამულაძემ.

- ვფიქრობ, გამიმართლა, ამ პროგრამის მონაწილე რომ ვარ და უკვე კურსდამთავრებული, რადგან საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო შერჩევის ეტაპზე, იქიდან მხოლოდ 25 აგვიყვანეს და სწავლა 23-მა დავასრულეთ. მჯერა, რომ ჩვენი კურსი და, ასე ვთქვათ, გუნდი, დიდ წარმატებას მოუტანს აჭარას და სრულიად საქართველოს, რადგან საკრუიზო ლაინერზე შესაძლებლობა გვექნება ჩვენი ქვეყანა, თავისი კულტურით, ღირსშესანიშნავობითა და მნიშვნელობით წარმოვაჩინოთ და ვასახელოთ.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 11 სოფლისთვის საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია გაზიფიცირების პროექტებს შეისყიდის, რისთვისაც ორი ტენდერია გამოცხადებული. სატენდერო თანხა 377 522 ლარია. პროექტების შესყიდვის შემდეგ, ცალკე გამოაცხადებენ ტენდერს გაზსადენი ქსელის მონტაჟზე სოფლებში, ხოლო დამონტაჟების შემდეგ ქსელი გადაეცემა გაზის კომპანიას, ამ შემთხვევაში „სოკარს“, რომელიც დაიწყებს მოსახლეობისთვის გაზის მიწოდებას. ცენტრალური მილებიდან სახლებამდე გაზს გაზის კომპანია მიიყვანს. გაზსადენის პროექტირებაზე ერთი ტენდერი 193 166 ლარითაა გამოცხადებული, ხოლო მეორე ტენდერი 184 356 ლარით. პირველი ტენდერი ქობულეთის სოფელ ჭახათის, შუახევის სოფელ ოქროპილაურის, ხულოს სოფელ ქვემო ვაშლოვანის და ხელვაჩაურის სოფლების: მირვეთის, ქოქოლეთის და ზედა ჩხუტუნეთის გაზიფიცირების საპროექტო მომსახურებას ეხება. ამ სოფლების გაზიფიცირებისთვის საჭირო პროექტები ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 120 დღეში უნდა იყოს მზად. ამასთან, პირობის მიხედვით, აღნიშნულ ვადაში წარმოდგენილი უნდა იქნას პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის შესახებ სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან აკრედიტებული ორგანიზაციის, ან კიდევ შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნა. ტენდერში წინადადებების მიღება იწყება 2023 წლის 21 თებერვალს და 23 თებერვალს დასრულდება. მეორე ტენდერი ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების: ჭინკაძეების, ქვედა ბზუბზუს, პირველი მაისის, ახოს და დანდალოს გაზიფიცირების საპროექტო მომსახურებაზეა გამოცხადებული 184 356 ლარით. აქაც წინადადებების მიღება 2023 წლის 21 თებერვალს დაიწყება და 23 თებერვალს დასრულდება.

* * *

ბათუმის ბულვარს ესკიზები და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტები ზღვისპირა ზოლში ახალი კაფეების ასაშენებლად მზად აქვს. კაფეებს თავად ბულვარის ადმინისტრაცია მოაწყობს და შემდგომ იჯარით გასცემს. ახალი დიზაინის მიხედვით ბლაჟის გასწვრივ დღეს არსებული კაფეები უნდა ჩაანაცვლონ. ახალი დიზაინის კაფეები ბულვარის განაშენიანების გეგმითაა გათვალისწინებული. გეგმა ბათუმის საკრებულომ 2022 წლის აგვისტოში დაამტკიცა. ბათუმის ბულვარს პლაჟზე განსათავსებელი საზაფხულო კაფეების დიზაინისა და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე კონკურსი 117 ათას 694 ლარით დღგ-ის გარეშე ჰქონდა გამოცხადებული. შესყიდვების პორტალის მიხედვით, კონკურსში მხოლოდ ერთი კომპანია, შპს „თ-არქიტექტსი“ მონაწილეობდა. მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, კომპანიამ ესკიზები და ხარჯთაღრიცხვა ბულვარის ადმინისტრაციას 2023 წლის იანვარში ჩააბარა.

* * *

რაგბი დიდი 10-ის მე-13 ტურის შეხვედრაში სარაგბო კლუბმა „ბათუმმა“ გასვლაზე თბილისის „ლოკომოტივი“ 14-57 დაამარცხა. ბათუმელებმა მეტოქეს 8 ლელო დაუდეს და 2 მიიღეს. „ბათუმის“ შემადგენლობიდან ორი ლელო სიჭინავამ დადო, ხოლო თითო - კლდიაშვილმა, ნინიძემ, კორტავამ, ფოფხაძემ, სვანიძემ და ძნელაძემ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

კიდევ ერთი განხეთქილება ენმ-ში?

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

ლევან გორგილაძე, რომელიც ენმ-ის ბათუმის ახალგაზრდული ფრთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო, სოციალურ ქსელში ამ პარტიის ჯგუფის (აჭარა ენმ/Adjara UNM) ადმინობიდან წაშალეს. როგორც ახალგაზრდა პოლიტიკოსი ჩვენთან საუბარში ამბობს, გადაწყვეტილება მასთან შეთანხმების გარეშე მიიღეს... და - რატომ?, გაუგებარია

„თქვენი იყოს გვერდიც და ადმინიც, (იდეის გამო მოვედი პარტიაში), მაგრამ „არჩევნები დამთავრდეს და ერთად გავაგრძელოთ ბრძოლა“, ამ ყველაფერს ქმედება ვერ ამართლებს, თუმცა მე ისევ აქ ვარ, ადმინიც და ყოფილი ადმინიც. თავისუფლება - მიშას“ - წერს ფეისბუქგვერდზე ლევან გორგილაძე. გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას ის აღნიშნავს, რომ ცუდი ფაქტი მოხდა, თუმცა ამით მისი ინტერესები არ იცვლება.

- „ნაციონალურ მოძრაობას“ უამრავი ქარტეხილი დასტყდომია თავს, მაგრამ გადაუტანია და დღემდე ქვეყანაში მთავარ ოპოზიციურ ძალად რჩება. ახლაც, როცა ჩვენი აზრები კონკრეტულ ვითარებაში გაიყო, თავის დაძვრომის პროცესში ვიმყოფებით. ვინაიდან ყველა ვითავისებთ, რომ მთავარი იდეა ავტოკრატიული რეჟიმის ჩამოშლა და მიშა სააკაშვილის - ქვეყნის მესამე პრეზიდენტის სიცოცხლის გადარჩენაა, ვთვლი, რომ ეს არის „ქართული ოცნების“ და სუსის პროპაგანდის ნაწილი. 2012 წლის შემდეგ დღე არ გასულა, რომ არ ეხსენებინათ „ნაცმოძრაობა“ და ამ პარტიის დაშლა, თუმცა ვხედავთ, რომ არჩევნებიდან არჩევნებამდე „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი იზრდება. ამიტომ, მომავლის იმედით, ადამიანებს დამშვიდებისკენ და ევროპული მომავლისაკენ სწრაფვას ვურჩევ.

- როგორ ფიქრობთ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შიდა პარტიულმა არჩევნებმა ხომ არ გამოიწვია საზოგადოებაში უნდობლობა, რადგან წინასაარჩევნოდ პარტიაში ურთიერთბრალდებებს ჰქონდა ადგილი?

- მადლობა ჩვენს ამომრჩეველს, ამ დემოკრატიულ პროცესში რომ მიიღეს მონაწილეობა. მე უდიდეს პატივს ვცემ ხალხის არჩევანს. არჩევნებამდე ჩვენი ხედვა იყო ასეთი - სამი პუნქტი იყო მნიშვნელოვანი, პირველი - საერთაშორისო ზეწოლის გაძლიერება, მეორე - დიდი ერთობა და მესამე - დამენეჯმენტებული საპროტესტო აქცია. ეს სამი ეტაპი უნდა გავიაროთ და საბოლოო შედეგამდეც გავალთ. იყო აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა ერთიანი ძალებით გავაგრძელებთ ბრძოლას საქართველოს მესამე პრეზიდენტის გადარჩენისთვის. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ენმ საქართველოში პირველ ოპოზიციურ ძალად ითვლება.

- რატომ წახვედით თანამდებობიდან?

- მე ვრჩები პარტიაში და ვაგრძელებ ბრძოლას. თანამდებობიდან წასვლა არ ნიშნავს, რომ ვწყვეტ საქმიანობას. ჩვენ - ნიკა მელიას მხარდამჭერებმა გადავწყვიტეთ, ასპარეზი დავუთმოთ სხვებს და, რა თქმა უნდა, დავრჩეთ „ნაცმოძრაობაში“ და გავაგრძელოთ ბრძოლა, როგორც ამას აქამდე ვაკეთებდით.

ბათუმში, „ლელო საქართველოს“ ოფისში, მიწისძვრით დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული დახმარების მიღება გრძელდება

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

ბათუმის „ლელოს“ ოფისში, თურქეთში მიწისძვრით დაზარალებულებისთვის შეგროვებული ჰუმანიტარული დახმარების პირველი ნაწილი დანიშნულების ადგილზე 10 თებერვალს გაიგზავნა

მოხალისეებმა სხვადასხვა პროდუქტი და ტანსაცმელი თურქეთის გენერალური საკონსულოს საწყობში გადაიტანეს. შეგახსენებთ, რომ ფარნავაზ მეფის №46-ში ბათუმში თურქეთის გენერალური საკონსულოს ჩართულობით, მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიღება გძელდება.

- უკვე ერთი წელია, რაც ჰუმანიტარული დახმარების ცენტრი ბათუმში მოქმედებს ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, „ლელოს“ ოფისში. იგი მიმართული იყო უკრაინის დასახმარებლად. იცით, რომ ბევრი დახმარება გაიგზვნა უკრაინაში. შემდეგ კი, როდესაც თურქეთის რესპუბლიკაში მიწისძვრა მოხდა და ამან ნგრევა გამოიწვია, მამუკა ხაზარაძემ გადაწყვიტა, დახმარების შტაბები ყოფილიყო ბათუმსა და თბილისში. 7 თებერვლიდან დაანონსებული გვქონდა, რომ ჩვენს ოფისში ჰუმანიტარულ დახმარებას მივიღებდით, რომელიც გაიგზავნებოდა თურქეთში მიწისძვრით დაზარალებული ადამიანებისთვის. პირველი ტვირთი 10 თებერვალს გაიგზავნა, მეორე - დღეს. ძირითადად, ბავშვთა მოვლის საშუალებები, საბნები, პლედები, თბილი ტანსაცმელი იგზავნება. მომართვიანობა მოსახლეობის მხრიდან დიდია, როგორც ქართველები, ასევე ბელარუსები და უკრაინელები არიან ამ პროცესში ჩართულები. არ წყდება სატელეფონო ზარები, ადამიანები გვთავაზობენ სხვადასხვა დახმარებას თურქი ხალხისთვის. უკრაინელებმა გაიღეს საკმაოდ სოლიდური დახმარება. ისინი თავად არიან დიდ გასაჭირში, მაგრამ სურთ, ამ დიდი ტრაგედიის დროს თანადგომა გამოუცხადონ დაზარალებულ ხალხს, - განაცხადა „ლელო საქართველოს“ ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გენო თებიძემ.

რა კრიტერიუმებით მიენიჭება უსახლკაროთა სტატუსი ბათუმში რეგისტრირებულ პირებს?

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

ბათუმის მერიამ უსახლკაროთა სტატუსის მაძიებელთა განცხადებების მიღება დაიწყო. როგორც მერიაში განაცხადეს, უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის საჭიროა განაცხადი, რომელსაც უნდა ერთვოდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ასევე რაიმე სტატუსის დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის საჭირო გარემოებების არსებობა

იმ შემთხვევაში, თუ მერიაში მსგავს განცხადებას ოჯახები მოინდომებენ, მათ დასჭირდებათ ოჯახის წევრების პირადობის დამადასტურებელი ასლები, ასევე ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები. განცხადების მიღება დაწყებულია და მიმდინარე წლის 30 აპრილს დასრულდება.

რატომ დაიწყო ბათუმის მერიამ უსახლკაროთა აღრიცხვა და რამდენად დიდია მომართვიანობა მოსახლეობის მხრიდან? - ამ საკითხებზე გაზეთ „აჭარას“ ბათუმის მერის მოადგილე ***ლელა სურმანიძე*** *ესაუბრა.*

- ბათუმის მერია პერიოდულად ახორციელებდა და დღესაც აგრძელებს მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული პროგრამების განხორციელებას. აღნიშნულ პროგრამას რაც შეეხება, 2022 წელს ბათუმის საკრებულომ დაამტკიცა უსახლკაროდ რეგისტრაციის წესი და მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან უსახლკაროთა რეგისტრაციის თაობაზე უკვე განაცხადების მიღება დაიწყო. საბუთების მიღება 30 აპრილამდე გაგრძელდება. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ 30 აპრილის შემდეგაც შეუძლია ბათუმის მკვიდრს მერიაში შესაბამისი დოკუმენტაცია წარადგინოს. უსახლკაროთა აღრიცხვა იმისათვის გვჭირდება, რომ გვქონდეს ზოგადი სურათი, რამდენი უსახლკარო ადამიანი და ოჯახია ბათუმში. ეს არ ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი კონკრეტულ ვადებში მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას საცხოვრებლით დაკმაყოფილების თაობაზე. იცით, რომ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით ვმუშაობთ.

- ამისთვის რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მოქალაქემ?

- მოქალაქემ თავისი ფაქტობრივი ადგილის მიხედვით უნდა მიმართოს მუნიციპალურ სერვისცენტრს, სადაც განაცხადს შეავსებს. პირი ან ოჯახი უნდა აკმაყოფილებდეს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. უპირველესად, უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ბათუმში რეგისტრირებული ორი წლის განმავლობაში, უნდა იყოს სრულწლოვანი, გარდა ამისა, მას არ უნდა გააჩნდეს უძრავი ქონება, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში იჯარის თანხას არ უნდა იხდიდეს, შემოსავალი არ, ან მცირედი უნდა ჰქონდეს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს, არ უნდა ჰყავდეს ავტომობილი, ან თუ ჰყავს, კომისია შეისწავლის ავტომობილის მარკას და შესაბამის ღონისძიებებს გაატარებს. პირს ან ოჯახს არ უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლად საცხოვრისის ღირებულების გადახდის შესაძლებლობა, ან არ უნდა სარგებლობდეს ახლო ნათესავის საცხოვრებელი ფართით. არაუმეტეს წლის განმავლობაში 30-ჯერ მაინც არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთილი. ეს არის სწორედ ის კრიტერიუმები, რომლის მეშვეობითაც მოწყვლად ჯგუფებს გამოვყოფთ.

- კრიტერიუმების შეფასების შემდეგ რა ეტაპია გასავლელი?

- საკითხზე კომისია იმუშავებს. გადამოწმდება მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლებიც ქულათა სისტემით შეფასდება. უპირატესობა იმ ოჯახებსა და პირებს მიენიჭებათ, რომელთაც ჰყავთ შშმ პირი, არიან მარტოხელა მშობლები, სახელმწიფო პენსიის მფლობელნი ან მარჩენალდაკარგულნი.

- ამ დროისთვის უსახლკაროთა სტატუსის მინიჭებისთვის განაცხადზე არის თუ არა მაღალი მომართვიანობა?

- ამ ეტაპზე ცოტა განაცხადია შემოსული და ვფიქრობ, რომ ინფორმაცია გავრცელდება და მეტი ადამიანი გაიგებს ახალი, საპილოტე პროგრამის შესახებ. ალბათ ამის შემდეგ გააქტიურდება მოსახლეობა და მივიღებთ განაცხადებს.

- სტატუსის მინიჭების შემდეგ რას გეგმავს მუნიციპალიტეტი?

- ჯერჯერობით გადაჭრით ამაზე საუბარი არ შეგვიძლია, რადგან პროგრამა ახალია, მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები. საბოლოო ჯამში, მუნიციპალიტეტის რესურსების მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას, როგორი წესით დავეხმარებით ამ ადამიანებს. არ გამოვრიცხავ იმას, რომ აღნიშნულ პირებს საცხოვრებელი დროებით სარგებლობაში გადაეცეთ მანამ, სანამ მათი სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. ეს მეთოდი ზოგადად აპრობირებულია მსოფლიოში. ჩვენ ყველა შემთხვევაში წლის ბოლომდე გვექნება სურათი - რამდენი უსახლკარო გვყავს ქალაქში, მანამდე კი მოქალაქეებს შეეძლებათ თავიანთი პრობლემის შესახებ წერილობით მოგვმართონ.

უცხოეთი

იენს სტოლტენბერგი ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე თავისი უფლებამოსილების გახანგრძლივებას არ აპირებს. „სტოლტენბერგის მანდატი სამჯერ გახანგრძლივდა და ის თითქმის ცხრა წელია მუშაობს“, - განაცხადა ნატოს სპიკერმა ოანა ლუნგესკუმ. მისივე ცნობით, გენერალური მდივნის უფლებამოსილება იწურება მიმდინარე წლის ოქტომბერში და მას არ აქვს განზრახვა, მოითხოვოს მანდატის კიდევ ერთხელ გაგრძელება. მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სტოლტენბერგის უფლებამოსილების ვადა კვლავ უნდა გაგრძელდეს, რადგან ალიანსი ცდილობს სტაბილურობის შენარჩუნებას უკრაინაში ომის ფონზე.

* * *

შეერთებული შტატები საკუთარ მოქალაქეებს მოუწოდებს, უკრაინაში ომისა და რუსული სამართალდამცავი ორგანოების მიერ თვითნებური დაპატიმრების ან შევიწროების რისკის გამო, დაუყოვნებლივ დატოვონ რუსეთი. „აშშ-ის მოქალაქეებმა, რომლებიც ცხოვრობენ ან მოგზაურობენ რუსეთში, დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ ქვეყანა. გამოიჩინეთ სიფრთხილე უკანონო დაკავების რისკის გამო. არ იმოგზაუროთ რუსეთში“, - აღნიშნულია მოსკოვში აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

* * *

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ევროკავშირთან კავშირების აღდგენის გეგმებზე მუშაობს. გამოცემა „ბლუმბერგი“ დიდი ბრიტანეთის მინისტრებზე, დიპლომატებსა და მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით იუწყება, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა რიში სუნაკმა მაღალჩინოსნებს პირადად მიმართა თხოვნით, ბრექსიტის გამო მრავალწლიანი დავის შემდეგ ევროკავშირთან ურთიერთობების აღდგენის გეგმები შეიმუშაონ. მაღალჩინოსნები მუშაობენ წინადადებაზე, თუ როგორ შეუძლია ლონდონს რიგ პოლიტიკურ საკითხებში უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს ევროკავშირთან.

* * *

თურქეთის ოფიციალური პირების განცხადებით, 6 თებერვალს მომხდარი მიწისძვრის შედეგად ჩამონგრეული შენობების მშენებლობასთან დაკავშირებით 113 პირის დაპატიმრების ორდერი გაიცა. ქვეყნის პოლიციამ უკვე დააკავა, სულ მცირე, 12 ადამიანი, მათ შორის სამშენებლო კონტრაქტორები. როგორც დასავლური მედია იუწყება, ზოგიერთი კრიტიკოსის თქმით, ეს მომხდარი კატასტროფისთვის პასუხისმგებლობის გადატანის მცდელობაა, რადგან ექსპერტები გამუდმებით აცხადებდნენ, რომ თურქეთში ბევრი ახალი შენობა უსაფრთხო არ იყო. თურქეთსა და სირიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 36 000-ს გადააჭარბა.

* * *

ბელგიის პოლიციამ ევროპარლამენტარი მარკ ტარაბელა დააკავა. 2 თებერვალს ევროპარლამენტმა მას და იტალიელ ანდრეა კოცოლინოს იმუნიტეტი მოუხსნა. გამომძიების მიხედვით, კოცოლინო ეჭვმიტანილია ქრთამის მიღებაში მაროკოსგან, ხოლო ტარაბელა - კატარისგან. კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობას ორივე დეპუტატი უარყოფს.

მოამზადა
ია შველიძემ

შუახევის ტერიტორიაზე 300-მდე პროექტი განხორციელდება

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

იმ კომპანიების, ფირმების თუ შპს-ების, ინდივიდუალური მეწარმეების მისამართით მინდა გამოვთქვა საყვედური, რომლებიც საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიან და დაკისრებულ ვალდებულებებს ზერელედ ან სულაც არ ასრულებენ

პასუხისმგებლიან კომპანიას ახლა ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 10-კილომეტრიანი მონაკვეთის (ხიჭაურიდან - ჩანჩხალოს ხიდამდე) რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია დასრულებული ექნებოდა და ქვეყნის ბიუჯეტიდან დამატებით 4 მილიონი ლარის მობილიზება საჭირო აღარ გახდებოდა.

ხულო-გოდერძი-ზარზმის 47-კილომეტრიანი მაგისტრალის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ლოტებად რომ დაიყო, ცალკეულ კომპანიას საქმე ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში უნდა დაესრულებინა, თუმცა... ახლა «ზიმო 7»-ის და «მამისონის» მიერ მიტოვებულ სამუშაოებს სხვა კომპანიები დიდი ძალისხმევის ფასად ასრულებენ. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ წლევანდელი ზამთრის ორი თვე ისე გავიდა, ხიჭაური-ჩანჩხალოს ხიდის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოები კომპანია «გზებს» არ შეუჩერებია. მართალია, ზოგიერთები საყვედურობენ დღის გარკვეულ პერიოდში შუახევი-ხულოს გზის ერთი მონაკვეთის ჩაკეტვას, მაგრამ შემოვლითი გზითაც შესაძლებელია სარგებლობა.

მოსახლეობის რაოდენობით შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელი წაბლანა არცერთ სოფელს ტოლს არ უდებს. მუდმივად გამოკეტილი სახლები, გავერანებული ეზოები აქ ყველაზე ნაკლებადაა. ორი წლის წინ მნიშვნელოვანი თანხები იყო მობილიზებული სოფლის ცენტრის კეთილმოსაწყობად. კონკურსში გამარჯვებული ინდივიდუალური მეწარმე საწყის ეტაპზე სამუშაოებს თითქოსდა კარგად ასრულებდა, მაგრამ თანხის ნაწილი დამკვეთმა ორგანიზაციამ - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ მის ანგარიშზე დარიცხა თუ არა, სამუშაოები საერთოდ მიატოვა. რამდენიმე სოფლის ცენტრი კეთილმოეწყო მას შემდეგ, წაბლანელები კი სამუშაოების დასრულებას წელს ელიან. მართალია, უპასუხისმგებლო მეწარმე გააშავეს, მაგრამ ახლა მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში შემოვლითი გზებითაა ჩართული. უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომ ასეთ მეწარმეს სამუშაოები აღარ ანდონ.

სოფელ ქიძინიძეებში შიდასასოფლო გზებზე ბეტონის საფარი დაიგო. უხარისხოდ დაგებული საფარი უკვე აყრილია, იგივე მდგომარეობაა სხეფელაში.

სოფელ ჯაბნიძეებში ბაგა-ბაღი აშენდა. ერთი წელი დასჭირდა მშენებლობის დროს დაშვებული ხარვეზების გამოსწორებას.

დამკვეთი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ელექტრონული კონკურსი შემსრულებელ მეწარმეებს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. იმისთვის, რომ კონკურსი მოიგონ, წინასწარ გამოცხადებულ თანხას ზოგჯერ 15-20 პროცენტსაც აკლებენ. ისედაც უხარისხოდ შედგენილ პროექტს კიდევ თანხას რომ დააკლებ, საქმე ჩანასახშივე განწირულია. ესეც ხდება მიზეზი, რომ ხან გზისპირა გაბიონი ჩამოიქცევა, ხან მდინარისპირა საყრდენი კედელი, ხან კიდევ ფერდსამაგრი ნაგებობა ხდება მეწყრის «მსხვერპლი».

ჯერ კიდევ შარშანწინ უნდა შესულიყო ექსპლუატაციაში დაბა შუახევის ცენტრში საჯარო სკოლის შენობა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ჯემალ სურმანიძე ყველა გზით შეეცადა, რომ კონკურსში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელობას დაწყებული სამუშაოები ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში დაესრულებინა, მშენებლობაზე დროებით, «გამკონტროლებელიც» აიყვანეს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი... დასაქმებულებს შესრულებული სამუშაოებისთვის თანხის მიღების პრობლემაც შეექმნათ. ახლა სამუშაოებს სხვა კომპანია ასრულებს და როგორც დამკვეთი, ისე შემსრულებელი პირობას დებენ, რომ ახალ სასწავლო წელს მოსწავლეები და პედაგოგები ახალ შენობაში შეხვდებიან.

> ***„იმისთვის, რომ კონკურსი მოიგონ, წინასწარ გამოცხადებულ თანხას ზოგჯერ 15-20 პროცენტსაც აკლებენ. ისედაც უხარისხოდ შედგენილ პროექტს კიდევ თანხას რომ დააკლებ, საქმე ჩანასახშივე განწირულია. ესეც ხდება მიზეზი, რომ ხან გზისპირა გაბიონი ჩამოიქცევა, ხან მდინარისპირა საყრდენი კედელი, ხან კიდევ ფერდსამაგრი ნაგებობა ხდება მეწყრის «მსხვერპლი»***

წლების წინ შუახევის მუნიციპალიტეტში ინდმეწარმემ რამდენიმე სკოლა-ფილიალის (ადრინდელი - დაწყებითი) შენობები ააგო. მშენებლებისთვის შესრულებული სამუშაოს თანხა დღემდე გადასახდელი აქვთ. საინტერესოა, ასეთ ფაქტზე მაკონტროლებელი ორგანოები თვალს რატომ ხუჭავენ. დროში გაიწელა ბეღლეთის საჯარო სკოლის შენობის ექსპლუატაციაში გაშვებაც.

წელს შუახევის მუნიციპალიტეტში მარტო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 7,1 მილიონ ლარზე მეტია მობილიზებული. მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურმა უკვე შესყიდვების სამსახურს რამდენიმე პროექტზე კონკურსი გამოაცხადებინა. სარიტუალო, სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის მნიშვნელოვანი თანხები აქვს მობილიზებული კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, მერის მოადგილეები მირიან აბაშიძე, გურამ ზოიძე იმ ფირმების ხელმძღვანელებს, ინდივიდუალურ მეწარმეებს შეხვდნენ, რომლებიც მეტწილად მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობენ და მინდობილ საქმეს პასუხისმგებლობით უდგებიან. მათ წელს განსახორციელებელ პროგრამებსა და პროექტებზე ინფორმაციები გააცნეს მერიის სამსახურების უფროსებმა დავით და ფრიდონ დავითაძეებმა.

ითქვა, რომ შარშან ხელშეკრულებით აღებული სამუშაოები დროულად და ხარისხიანად დაასრულეს არჩილ გოგიტიძემ, უშანგი ფუტკარაძემ, ვახტანგ ხიმშიაშვილმა, შოთა ბაიაძემ. მათთან ერთად ახალი სახლებიც გამოჩნდა. თუმცა ეს ზღვაში წვეთია. ისევ არის პროექტების გადავადების, სამუშაოების გაჭიანურების შემთხვევები. განსაკუთრებით ის კომპანიები, რომელიც მისგან მომავალში სარგებელს ელის. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხების გარდა, საკმაო თანხებია გამოყოფილი რეგიონული და ფედერალური ბიუჯეტიდან. ის ხარვეზები, რომელიც წინა წლებში იყო, წარსულს უნდა ჩაბარდეს. მიახლოებითი გათვლებით, შუახევის ტერიტორიაზე 350-მდე დიდი და პატარა პროექტი განხორციელდება. ეს დამატებით სამუშაო ადგილებს გააჩენს. ჩვენ აქცენტს ადგილობრივებზე გადავიტანთ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ტურისტულ ობიექტებს ვანიჭებთ. თითქმის 20 მილიონამდე ლარის მობილიზებას გვპირდებიან მთა ჩირუხის, თაგინურის, ღომას ტერიტორიული პოტენციალის ასათვისებლად. გულხელდაკრეფილი არც ჩვენ ვართ - სამ მთაში სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოწყობას ვაპირებთ. დიდი სამუშაოებია შესასრულებელი სარწყავი არხის მოვლა-შენახვის მიმართულებით და ესეც ყველასგან მზრუნველ ხელს ითხოვს.

როგორ მოვამზადოთ ბავშვი სკოლისთვის?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სკოლის დაწყება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის ცხოვრებაში, თუმცა, გარდა იმისა, რომ მშობლები და ბავშვები აღფრთოვანებული ელიან ამ პერიოდს, ეს პროცესი თითოეული მათგანისთვის გარკვეულ სტრესებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, როცა ვსაუბრობთ მზაობაზე, აქ მოიაზრება კომპლექსური პროცესი, რომელიც არ გულისხმობს ბავშვის სკოლისთვის მომზადების მხოლოდ ერთ დღეს. ეს გულისხმობს სოციალური, ემოციური, ფიზიკური და სხვა მოსამზადებელი ეტაპების გავლას იმ მიზნით, რომ საბოლოოდ ბავშვი იყოს რეალურად მზად სკოლისათვის

რას გულისხმობს ბავშვისთვის სასკოლო მზაობა და რა უნდა ვასწავლოთ მას სკოლაში წასვლამდე? ამ საკითხებზე **ნინო ძათამაძე** *საუბრობს, რომელიც 10 წელია, რეპეტიტორობს, 3 წელი კი, მეგობართან ერთად, სკოლამდელი აღზრდის სტუდიას ხელმძღვანელობს.*

- ბავშვისთვის სკოლის დაწყება ახალ ეტაპს ნიშნავს ცხოვრებაში. როგორ უნდა დაეხმაროს მშობელი, ასევე, სკოლამდელი განათლების სპეციალისტი მას ისე, რომ სკოლასთან დაკავშირებული მოლოდინები არ გაუცრუვდეს?

- სკოლამდელი განათლება ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი პატარების ცხოვრებაში, მთავარია, ვისწავლოთ მათთან მიდგომა, რადგან ყველა პატარა ინდივიდუალურ ყურადღებას საჭიროებს. ბაღმა ეს ფუნქცია ძალიან კარგად შეითვისა და მუშაობს კიდეც, ამ მხრივ, პროგრამულად ცდილობს სასკოლო გარემო შექმნას. მაგრამ არიან ბავშვები, რომლებიც ამ პროცესს სტრესულად აღიქვამენ, რადგან ციფრულ სამყაროში ცხოვრობენ, გაჯეტების მოყვარულები არიან და რთულდება მათთან სწავლებაც და მიდგომებიც. არიან ბავშვები, რომლებიც დახმარებას არ საჭიროებენ, თავისუფლად მიჰყვებიან აღმზრდელს ამ პროცესში, მაგრამ არიან პატარები, ვისთვისაც სწავლება დამღლელი, სტრესულია და მიდგომებიც შეცვლას მოითხოვს. ამ დროს მშობელიც წინასწარ უნდა მოემზადოს, გაიაზროს თავისი როლი, ითანამშრომლოს სპეციალისტთან, დააკვირდეს პრობლემას, რომ ერთობლივი ძალისხმევით აღმოფხვრან. მთავარია, ეს დროულად მოხდეს, მშობელი მოემზადოს, ან სპეციალისტს მიმართოს და მასთან ერთად შეასრულოს ის რეკომენდაციები, რასაც მასწავლებელი მისცემს. პრობლემა სიმშვიდით დაიძლევა და არა ნერვიულობით. როცა ვხედავთ, რომ ვერ წერს ბავშვი, ვერ წარმოთქვამს, ავიწყდება ნასწავლი, არ უნდა ავტეხოთ განგაში მისი თანდასწრებით, ვეცადოთ, საინტერესო თამაშით და აქტივობით დავძლიოთ ბარიერები.

- რამდენად მნიშვნელოვანია, ბავშვს წინასწარ გავაცნოთ ის ფიზიკური, სოციალური თუ საგანმანათლებლო გარემო, სადაც ყოველდღე მოუწევს სიარული?

> ***„ამის სწავლაც ვირტუალურ სამყაროს შეჩვეულ ზოგიერთ პატარას ძალიან უჭირს, ვერ წერს, ვერ იმახსოვრებს. „რა გვეშველება?“, „სუსტია, როგორ მოვიქცეთ?“, „ვერ ასწავლეს ბაღში?“ - ისმის მშობლებისგან. გამოცდილებამ და 10-წლიანმა მუშაობის პრაქტიკამ დამანახა, რომ მთავარია, როგორ მივუდგებით თითოეულს***

- მნიშვნელოვანი და აუცილებელია, იცოდეს სკოლის ცხოვრების შესახებ. ბავშვს უნდა ვესაუბროთ, წინასწარი წარმოდგენა შევუქმნათ, რომ მას ჩანთის, წიგნების და საწერკალმის გარდა, დასჭირდება მოსმენის კულტურა, ხელის აწევის, მერხთან ჯდომის წესის ცოდნა. უნდა ავუხსნათ, რომ ეს ბაღი არ არის, სადაც შეიძლება ძილი, გაკვეთილზე სიარული, ხელში გამუდმებით სათამაშოს ჭერა. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ თამაშისთვის ცალკე დრო არის გამოყოფილი და აუცილებლად ათამაშებენ, თუ მასწავლებლის მითითებას კარგად შეასრულებს. თუ სკოლა, პედაგოგები წინასწარ მოუწყობენ პირველკლასელებს შეხვედრას და დაათვალიერებინებენ საკლასო ოთახებს, ეს კარგი იქნება. როგორც ვიცი, ზოგიერთ კერძო სკოლაში არის ასეთი პრაქტიკა.

- კონკრეტულად რა რეკომენდაციას მისცემთ მშობლებს?

- ვთვლი, რომ პირველ კლასში მოსწავლე უნდა ფლობდეს იმ უნარებს, რაც მას გაუადვილებს სწავლის პროცესს. ეს გულისხმობს მოტორული უნარების განვითარებას. ბავშვმა უნდა იცოდეს კალმის, ფანქრის სწორად დაჭერა, გავარჯიშებული უნდა ჰქონდეს ხელის მტევანი, ცნობდეს ანბანს, მათემატიკურ ნიშნებს, რიცხვებს, იმ ელემენტარულ კომბინაციებს, რაც ფიქრს გამოუმუშავებს. მაგრამ, ამის სწავლაც ვირტუალურ სამყაროს შეჩვეულ ზოგიერთ პატარას ძალიან უჭირს, ვერ წერს, ვერ იმახსოვრებს. „რა გვეშველება?“, „სუსტია, როგორ მოვიქცეთ?“, „ვერ ასწავლეს ბაღში?“ - ისმის მშობლებისგან. გამოცდილებამ და 10-წლიანმა მუშაობის პრაქტიკამ დამანახა, რომ მთავარია, როგორ მივუდგებით თითოეულს. მათი პრობლემები სხვადასხვაგვარია, მთავარია, აღმოვაჩინოთ და სიმშვიდით, სითბოთი, სიყვარულით ვიმუშაოთ. შედეგი შეიძლება გვიან დადგეს, მაგრამ აუცილებლად მივიღებთ. მშობლის ჩართულობა და თანამშრომლობა კი ამ საქმეში ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია.

- სკოლამდელი პატარებისთვის თუ არის შესაბამისი ლიტერატურა, რითაც ისინი საბაზისო ცოდნას მიიღებენ, აკადემიური უნარები განუვითარდებათ?

- ძალიან ბევრი სახელმძღვანელო და რესურსია ამისთვის, მთავარია, სწორად შევარჩიოთ, არ დავაფრთხოთ ბავშვი, ლუკმა-ლუკმა მივაწოდოთ პატარას მისთვის აუცილებელი აქტივობა. უნდა ჩავრთოთ თამაშით სწავლების ტექნიკა, ზეპირმეტყველების უნარის კარგად განვითარებისთვის უნდა ვასწავლოთ პატარა ლექსები. აუცილებელია, პირის აპარატის გასავარჯიშებლად საინტერესო ენის გასატეხები და დამახსოვრებისთვის - პატარა ზღაპრების კითხვა, შემდეგ - კითხვა-პასუხით გამოკითხვა.

- როგორ ფიქრობთ, სკოლამდელი აღზრდა რამდენად მნიშვნელოვანია და რა როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში?

- დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეულ განათლებას, ის ამ საუკუნის მაშველი რგოლია, რადგან 21-ე საუკუნის ბავშვებს „იისფერ თაობას“ უწოდებენ. მათი უდიდესი ნაწილი გამოწვევებისთვის მზად არის, ბევრ გასაოცარ უნარს ფლობენ, მაგრამ არის შემთხვევები, როცა პატარებს სწავლების პროცესი თრგუნავს, საკუთარ თავში იკეტებიან, მხოლოდ ვირტუალურ და ციფრულ სამყაროში გრძნობენ თავს კარგად. მათთვის აუცილებელია ადრეულ ეტაპზე ხელის შეშველება. ამ ფუნქციას, მშობლის ჩართულობასთან ერთად, კარგად ითავსებს ბაღები და მოსამზადებელი სტუდიები.

ია კარგარეთელი: როდესაც იცვლება შენი აზროვნება, იცვლება ყველაფერი შენ ირგვლივ

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

*ახალგაზრდა მწერალი **ია კარგარეთელი** ორი წიგნის - „სხვა უდაბნოს საიდუმლოს“ და „ყვავილის“ ავტორია. მისმა წიგნებმა გამოცემისთანავე მიიპყრო ყურადღება და მკითხველის დიდი სიყვარულიც დაიმსახურა. იამ საზოგადოებას თავი სხვა კუთხითაც შეაყვარა - ის წარმატებული ბლოგერია და სოციალურ ქსელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.*

- ვინც გიცნობთ, ყველამ იცის, რომ საკუთარ თავზე არ გიყვართ საუბარი, მაგრამ მაინც - ვინ არის ია კარგარეთელი?

- მე ერთ-ერთი ის ადამიანი ვარ, რომელიც სიცოცხლეს საოცარ მოგზაურობად მიიჩნევს, ცდილობს, ყოველი დღე ახალ თავგადასავლად აქციოს, რაღაც ახალი შეიმეცნოს, აღმოაჩინოს და გაიფერადოს ყოველი წუთი. ვარ 31 წლის და როგორც ხშირად მეუბნებიან, ბავშვური და უცნაური ადამიანი ვარ. უცნაური რატომ, არ ვიცი, არადა, ამას ხშირად მეუბნებიან...

- რა არის თქვენთვის ლიტერატურა?

- რაც თავი მახსოვს, სიტყვა „წიგნი“ სულ არსებობდა ჩემს ცხოვრებაში. ოჯახში ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა გვქონდა, ჩემს მშობლებს წიგნების კითხვა ალბათ, ყველაფერზე მეტად უყვარდათ, ამიტომ დაბადებიდანვე დედა სულ მიკითხავდა ზღაპრებს, სხვადასხვა ჟანრის საბავშვო ლიტერატურას და ხშირად მესაუბრებოდა წიგნის მნიშვნელობაზე ადამიანის ცხოვრებაში. დამოუკიდებლად წიგნების კითხვა დავიწყე 10-11 წლის ასაკში, ლიტერატურამ ჩემს თვალწინ გააცოცხლა საოცარი და ამოუწურავი სამყარო, რამაც მომხიბლა და მომაჯადოვა. ყველა ადამიანი უნდა აკეთებდეს იმას, რაც მისი გულიდან მოდის, ბედნიერი მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნები. წერა ჩემი თვითგამოხატვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ცოტა ჩაკეტილი პიროვნება ვიყავი, წერის მეშვეობით კი ყველაზე კარგად ვამბობდი ჩემს სათქმელს. ასე დავწერე პირველი მოთხრობაც და პირველი წიგნიც. პირველი მოთხრობა რომ დავწერე, 11-12 წლის ვიყავი, მას შემდეგ წერა გახდა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება თვითგამოხატვისთვის.

- ორი წიგნის ავტორი ხართ. საინტერესოა, როგორ დაახასიათებთ მათ, როგორც ავტორი?

- ჩემი პირველი წიგნია „სხვა უდაბნოს საიდუმლო“, რომელიც დაიწერა ლიტერატურული კონკურსისთვის „გახდი ბესტსელერის ავტორი 2017“. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არაბი პოეტების ლექსებმა და სიმღერებმა, „უზრიული ღაზალის“ საოცარმა ისტორიამ და ტრადიციამ. ემოციები, რაც უძველესი ბედუინური ტომის ტრადიციის გაცნობამ მაჩუქა, იმდენად ძლიერი იყო, რომ გადავწყვიტე, ასეთ ბედუინებზე წიგნი დამეწერა. უბედნიერესი ვარ, რომ ათასობით ადამიანმა შეიყვარა ჩემი ნაწარმოები. ეს არის რომანი ცხოვრების ოინებზე, საკუთარი თავის ძიებასა და მოულოდნელად მოსულ სიყვარულზე, რომელიც ადამიანისგან შეუძლებელს ითხოვს. რაც შეეხება მეორე წიგნს - „ყვავილი“ ჩემი ფრაზებისა და ჩანახატების ილუსტრირებული კრებულია, რომელიც მკითხველების სურვილით გამოიცა წიგნად. ეს არის წიგნი, რომელსაც შეუძლია იყოს შენი მეგობარი, გაგამხნეოს, მოგისმინოს და დაგეხმაროს საკუთარი თავის შეყვარებაში.

- როგორც თქვით, „სხვა უდაბნოს საიდუმლო“ დაიწერა ლიტერატურული კონკურსისთვის „გახდი ბესტსელერის ავტორი 2017“. გამარჯვებას ელოდით?

- შეიძლება ითქვას, რომ კი, რადგან წიგნად გამოცემამდე ეს რომანი ერთ-ერთ საიტზე ქვეყნდებოდა თავებად და ძალიან ბევრი ადამიანი კითხულობდა, თუმცა 6 წლის შემდეგაც რომ ისევ ისე პოპულარულია, ეს უდიდესი სიხარულით მივსებს გულს.

- როგორ გაჩნდა „ყვავილის“ შექმნის იდეა, რომელიც დიდ მოწონებას იმსახურებს, განსაკუთრებით, სოცქსელებში. როგორ მოახერხეთ ამ დიდი აუდიტორიის გულის მოგება და თითქოს ყველა ადამიანის ისტორიის ერთ წიგნად ქცევა?

- „ყვავილზე“ მუშაობა ჩემი მკითხველებისა და ჩემი გვერდის გამომწერების დამსახურებაა. ყოველდღე უამრავი ადამიანი მწერდა, ჩემი ჩანახატები და ფრაზები ცალკე წიგნად გამომეცა. „ყვავილში“ ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა ნაცნობი მომენტი და ემოციაა მოთავსებული, ეს ის წიგნია, რომელიც ყოველი სიტყვითა და ფრაზით ეხება შენს გულს, ზოგჯერ საჭირო რჩევას გაძლევს, ზოგჯერ ძალის პოვნაში გეხმარება. ჩემთვის ეს განსაკუთრებული წიგნია და უზომოდ მიხარია, რომ საზოგადოებამ ასე მოკლე დროში შეიყვარა.

- რაში ეხმარება წიგნი ადამიანს და რა როლი აქვს მას საკუთარი თავის თუ სამყაროს შეცნობაში?

- წიგნი ოდითგანვე ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარების მთავარი საშუალება იყო, ეს ის საკვებია, რომელიც სულიერად ზრდის ადამიანს, ასწავლის აზროვნებას, საკუთარ თავში ჩაღრმავებას, სხვების მოსმენას, დაკვირვებას. ლიტერატურა მდიდარია პერსონაჟებით, მათზე რომ კითხულობ, ამ დროს ცხოვრებაზე უამრავ რამეს იგებ, საკუთარ თავზეც და სხვებზეც. წიგნი გასწავლის სხვისი სიმართლის მოსმენას და ფიქრს, კრიტიკულ აზროვნებას, რაც ასე მნიშვნელოვანია დღეს.

- რომელია საყვარელი მწერალი ან წიგნი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა თქვენზე?

- ჯეიმზ ჯოისის „დუბლინელები“ და თომას მანის „ჯადოსნური მთა“, ეს ორი წიგნი გამორჩეულად ძვირფასია ჩემთვის.

- ბლოგერობასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

- მე ერთ-ერთი ის ადამიანი ვარ, რომელსაც მოსწონს ახალი აღმოჩენები. მიმაჩნია, რომ არასოდესაა გვიან აკეთო ის, რაც მოგწონს და გაინტერესებს, „იუთუბ არხიც“ ამიტომ შევქმენი. გადავწყვიტე მეკეთებინა ის, რაც სიხარულს მანიჭებდა, ცხოვრება ასე უფრო ფერადი და ლამაზია. როდესაც თავისუფალი დრო მაქვს, ყოველთვის ვცდილობ, ავარჩიო ის თემა, რაზეც ჩემი გამომწერები ხშირად მწერენ და ვიდეოებში განვმარტო ხოლმე.

- რა მიზანს ემსახურება თქვენი ბლოგი?

- ეს ბლოგი ჩემთვის დღიურივითაა, სადაც იმაზე ვსაუბრობ, რაც მნიშვნელოვანია ჩემთვის.

- თქვენი აზრით, როდის არის ადამიანი ბედნიერი?

- ყველა ადამიანს თავისი აზრი აქვს ბედნიერებაზე. მე ვფიქრობ, რომ ბედნიერი ხარ მაშინ, როდესაც აკეთებ საყვარელ საქმეს, ცხოვრობ ისე, როგორც შენი გონება და გული გკარნახობს და არასოდეს აფასებ შენს თავს სხვისი კრიტერიუმებითა და მოსაზრებებით.

- თქვენმა წიგნმა ბესტსელერის სტატუსი დაიმსახურა. რას ფიქრობთ, რამ განაპირობა ეს შედეგი და დიდი წარმატება?

- ვფიქრობ, უჩვეულო და მიმზიდველმა გარემომ. დარწმუნებული ვარ, ერთხელ მაინც ყველას გვინატრია საოცარი თავგადასავლის მონაწილე გავმხდარიყავით, ჩემი წიგნი „სხვა უდაბნოს საიდუმლო“კი მთავარ გმირსაც და მკითხველსაც უცნობ და ჯადოსნურ გარემოში ამოგზაურებს. ასევე, ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანმა რაღაც თავისი იპოვა ამ წიგნში, რის გამოც ეს რომანი მათთვის განსაკუთრებულად ახლობელი გახდა.

- სანამ ადამიანს რამეს ეტყვით...

- ჯერ დაფიქრდით, ნათქვამი როგორ ემოციებს მოჰგვრის ადამიანს.

- ცხოვრება როდის არის ლამაზი?

- ჩემთვის ცხოვრება მაშინ არის განსაკუთრებულად ლამაზი, როდესაც ჩემი საყვარელი ადამიანების გვერდით ვარ, ჩემს ძაღლს ვეთამაშები, წიგნზე ვმუშაობ ან ახალ, აქამდე უცნობ ადგილებს ვათვალიერებ, ასეთი მომენტები გამორჩეულად მეძვირფასება. ზოგადად, ბავშვობიდან ასე ვარ, რაღაც გრანდიოზულს არ ველოდები იმისათვის, თავი ბედნიერად ვიგრძნო და ვთქვა, რომ ცხოვრება ლამაზია. სიცოცხლით რომ დავტკბე, ამისთვის ყოველდღიური წვრილმანებიც მყოფნის.

- რა გენატრებათ?

- რთული შეკითხვაა, ჩემი ცხოვრების ზოგიერთი ფრაგმენტი...

- ყველაზე ლამაზი რა თვისებებია ადამიანში?

- ადამიანის ყველაზე ლამაზ თვისებად უბრალოება და გულწრფელობა მიმაჩნია.

- ყველას ცხოვრებაში დგება ნაცრისფერი დღეები. ვეცემით, მაგრამ უნდა გადავრჩეთ...

- ასეთი დღეები გვაძლიერებს, თვალს გვიხელს და ბევრი რამის გააზრებაში გვეხმარება. მთავარია, სასოწარკვეთის, სხვების დადანაშაულებისა და სამყაროს სიძულვილის ნაცვლად, სწორი შეკითხვები დავუსვათ საკუთარ თავს და მერე ნაბიჯები ახალი მიმართულებით გადავდგათ. ძალიან მიყვარს ეს ფრაზა: „როდესაც იცვლება შენი აზროვნება, იცვლება ყველაფერი შენ ირგვლივ“.

- რას ურჩევთ იმ ადამიანებს, ვინც შორეულ ცხოვრებისეულ გეგმებს აწყობს და საერთოდ, რა არის ჩვენი სიცოცხლე?

- მეტად დავაფასოთ სიცოცხლე, დავანებოთ თავი ერთმანეთთან ჯიბრში ყოფნას, სიძულვილს, მეტი სითბო და დადებითი ენერგია ვაჩუქოთ ერთმანეთს. ცხოვრება უფრო ლამაზი და კარგია, როდესაც არავინ გძულს და ცდილობ, ყოველდღე რაღაც კარგი გააკეთო შენთვისაც და სხვებისთვისაც.

- რა გინდათ ყველაზე მეტად ახლა?

- მინდა, რომ გამოიდაროს.

- სამომავლო გეგმები გაგვიზიარეთ...

- როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ბევრი გეგმა არ მაქვს. ახლა ვცდილობ, ჩემი დრო და ენერგია „სხვა უდაბნოს საიდუმლოს“ ხელახლა გამოცემას დავუთმო, რადგან ბევრი ადამიანი ელოდება და ამჟამად ეს ყველაფერზე მნიშვნელოვანია ჩემთვის.

„ვფიქრობ, რომ სწორედ ხელოვნების საშუალებით შევიმეცნე ჩემი ამქვეყნად მოვლინების ნამდვილი არსი“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

*„მიყვარს უფლისგან შექმნილი ყოველი სულიერი არსება, თავისი უბადლო და ხელთუქმნელი მშვენიერებით“, - ამბობს მწერალი **ხათუნა ბერიძე**, რომლის წარმატებულმა დებიუტმა მკითხველის დიდი ყურადღება მიიპყრო. იგი ოთხი კრებულის ავტორია, ბათუმში ცხოვრობს და აქედან აღიქვამს სამყაროს. თავის გულისნადებს და საფიქრალს ამ ბლიცინტერვიუში გაგვიზიარებს.*



- დავიბადე...

- დავიბადე „მუდამ მზიან“ სამტრედიაში - თაკარა ივლისის თვეში. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ჩემს ცნობიერებაში მზე სიცოცხლისა და ბედნიერების საწყისთან ასოცირდება. ვწერ ლექსებს და ნოველებს, ვარ ოთხი - ერთი პოეტური და სამი ნოველების კრებულის ავტორი.

- ვმუშაობ...

- ცამეტ წელზე მეტია, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ვმუშაობ მანდატურად.

- მიყვარს...

- უფლისგან შექმნილი ყოველი სულიერი არსება, ბუნება თავისი უბადლო და ხელთუქმნელი მშვენიერებით!

- მიხარია...

- როდესაც სხვებს ვეხმარები და მათ ბედნიერებით გაცისკროვნებულ თვალებს ვხედავ.

- ვბრაზობ...

- ხშირად ვბრაზობ ჩემს ხასიათში არსებულ სისუსტეებზე, ზედმეტ ლოიალობაზე, რომლის გამოც საკუთარი ინტერესები არაერთხელ დამიყენებია უკანა პლანზე.

- ჰობი...

- სამკურნალო მცენარეთა შესწავლა და კოსმეტიკური საშუალებების მომზადება.

- მესიზმრება...

- ხშირად მესიზმრება ხეხილით დახუნძლული ბაღები და გაზაფხულის ყვავილებით გადაფიფქული ხეები. ასევე მესიზმრება თუ როგორ ვსერავ ფრენა-ფრენით თვალუწვდენელ მინდვრებს. ეს ყველაზე გასაოცარი შეგრძნებაა, რომელსაც ვერაფერს შევადარებ.

- ვეჭვიანობ...

- ბუნებით ეჭვიანი არა ვარ, ცხადია, თუ საამისოდ კონკრეტული საბაბი არ მაქვს!

- ვივიწყებ...

- წვრილმან უსიამოვნებებს და წყენას.

- ვუსმენ...

- ხშირად ვუსმენ კლასიკურ და კინომუსიკას. საოცრად მამშვიდებს და შემიძლია დღეში რამდენჯერმე მოვისმინო ჯანსუღ კახიძის მიერ შესრულებული სიმღერა: „მოვა მაისი“

- ვპატიობ...

- თითქმის ყოველთვის ვპატიობ, რადგან ვფიქრობ, რომ ყველას არ შესწევს ძალა, მოერიოს საკუთარ სულში ჩასახლებულ ბოროტებას, შურსა და ანგარებას.

- ვემადლიერები...

- უფალს ყოველივე იმისთვის, რაც გამაჩნია!

- მწამს...

- სულის უკვდავების.

- სიცოცხლე...

- სიცოცხლე უფლის მიერ ბოძებული შეუფასებელი საჩუქარია.

- სიკვდილი...

- შეუცნობელ და იდუმალ სამყაროში გადასახლებაა. მარადიული სიცოცხლის დასაწყისია.

- ვგრძნობ...

- ვგრძნობ სხვა ადამიანების დადებით და უარყოფით ენერგეტიკას.

- 21-ე საუკუნე...

- ეს არის ადამიანურ ღირებულებათა გაუფასურების საუკუნე, ეპოქა, სადაც რეალური ურთიერთობები ვირტუალურმა კომუნიკაციებმა ჩაანაცვლა.

- სამშობლო...

- სამშობლოს ჩემი ერთ-ერთი ლექსით მოვეფერები.

სამშობლო

დასაბამიდან ერთია
ჭეშმარიტება უცვლელი...
სამშობლო გულის ფეთქვაა,
სიყვარულია უთქმელი!
მოზღვავებაა ძარღვებში
მჩქეფარე სისხლის დუღილის.
ყველა სათქმელზე მეტს
ამბობს
მისი ფერება დუმილით.
სამშობლო „იავნანაა“,
„შავლეგოს“ შემოძახილი...
სამშობლო ჟრუანტელია -
სულში თრთოლვით რომ
დაგვლის.
მთა-გორები და მდელოა
წინაპართ სისხლით ნაყღენთი.
ის უკვდავების წყაროა,
გულს რომ აცოცხლებს
დაშრეტილს!
მონატრებაა - უძირო,
ფესვების გამოძახილი.
მშობელი დედის კალთაა,
რომ მიეკვრები დაღლილი...
ისტორიაა - წარსულის:
ბასიანის და დიდგორის.
ეს ჩემი საქართველოა
მიწა წილხვედრი
ღვთისმშობლის..
არა, სიყვარულს არ უნდა
მჯიღის ცემა და სიტყვები...
მხოლოდ სასმისით კი არა
უნდა ლოცავდე ფიქრებით!

იხ. მე-6 გვ.

„ლექსმა თუ დროს გაუძლო, ესე იგი გამორჩეულია“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

თამრიკო ხოზრევანიძე სხალთის ხეობის მკვიდრია. საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად, პოეზიაშიც სცადა ბედი. ახლახან მწერალთა კავშირის წევრიც გახდა. დღეს იგი ჩვენი სტუმარია.

- ქალბატონო თამრიკო, პირველი ლექსი როდის დაწერეთ?

- ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას რაიმე ღირებული შემატო, ადვილი არაა, ვფიქრობ, დიდი პასუხისმგებლობაცაა. ამიტომაც ჩემს ადრინდელ ნაწერებს არ ვამზეურებდი. ყმაწვილქალობის პერიოდში, ყველაფრით გალაღებულს, უცებ დიდი ტკივილები ზედიზედ დამატყდა თავს. მოულოდნელად ახალგაზრდა დედა გარდამეცვალა, ულამაზესი იყო. მისი გარდაცვალებიდან ზუსტად წლისთავზე მამაც გარდაიცვალა, ნერვიულობას გადაჰყვა... ერთი წლის განმავლობაში ოთხი ძვირფასი ადამიანი მივაბარეთ მიწას - დედის დედა და მამის მამა... ეს უდიდესი ტრავმა იყო ჩვიდმეტი წლის გოგოსთვის, რა თქმა უნდა, ამას ცრემლებისა და ლექსების გარეშე არ ჩაუვლია, ვწერდი დღიურებს... 1991 წელს ხანძარმა შეიწირა ჩემი ნაწერები, ისე გამიცამტვერდა, სამზეო არ ეღირსა. ასეთი ბედი ეწია ჩემი ბავშვობისა და ყმაწვილქალობის ნაწერებს.

- სახოტბო ლექსებს ირჩევთ თუ ლირიკა გიტაცებთ?

- ვთვლი, რომ ლექსი სულის მდგომარეობაა, ლირიკულიც დამიწერია, სახოტბოც, გააჩნია, როგორია ჩემი სულიერი მდგომარეობა, რით ვიმუხტები და ვივსები. სკოლაში, ინსტიტუტში მუშაობის დროს, მასობრივ ღონისძიებებს ვატარებდი. კლასის, სკოლის, ინსტიტუტის ყოფიდან გამომდინარე, ღონისძიებებისთვისაც ვწერდი.

- ყველა პოეტს აქვს გამორჩეული ლექსი. თქვენ?

- როგორც დედას უყვარს ყველა შვილი, ისე პოეტსაც - ყველა ლექსი, მაგრამ მკითხველი რომელს გამოარჩევს, ამას დრო აჩვენებს. თუ დროს გაუძლო, ესე იგი გამორჩეულია.

- წლები შეალიეთ სტუდენტებთან მუშაობას...

- რაც შეეხება ჩემს პედაგოგიურ საქმიანობას, დავიწყე პიონერხელმძღვანელობით და დავამთავრე ბათუმის დამოუკიდებელი ინსტიტუტის პროორექტორობით. ყველაზე მეტად პედაგოგიური მუშაობა მხიბლავდა, ახლა ნოსტალგიაც მაქვს. მიყვარდა ბავშვები და ვუყვარდი ბავშვებს. აღზრდა კი ყველაზე საინტერესო და რთული პროცესია, შენ ადამიანის სულის წრთობას უწყობ ხელს.

- ისტორიული სხალთის ტაძარი, ხიხანის ციხე, მშობლიური კვატიის ნაეკლესიარი... ეს ყველაფერი როგორ წარმოაჩინეთ თქვენს შემოქმედებაში?

- როგორც მსურს, ისე არა, ჯერ ბევრი მაქვს სათქმელი. ახლა უფრო მეტი დრო მაქვს. შვილები და შვილიშვილები დავზარდე და მემუარებისთვის მოვიცალე. სხვათა შორის, რომანის „კორონაგამოვლილნი“ გამოცემის შემდეგ, ვწერ ნოველებსაც. ბოლო ნოველა იყო: „მე რომ გოგო მინდოდა, მინდორ-მინდორ მივდოდა“.

- იყო ქალი-პოეტი, დიდი პატივია, მაგრამ უპირველესია, იყო დედა.

- დედობა ჩემთვის ყველაზე დიდი პატივია. უფალს ვთხოვ, ყველა მდედრი ჯერ დედა და მერე ბებია გახდეს, ამაზე ძვირფასი, ამაღლებული სტატუსი და რეგალია არ არსებობს. წიგნი: „ლექსო, ნუ დაიკარგები“ შვილიშვილებს მივუძღვენი, ხოლო „კორონაგამოვლილნი“ - მეუღლის - მერაბ ბერიძის ხსოვნას.

- ცხოვრების დიდ გზაზე უფალი ყველას გამოცდას უმზადებს...

- კარგი იქნებოდა ცრემლებისა და გამოწვევების გარეშე ცხოვრება, მაგრამ ასე არ ხდება. ჩემთვის ყველაზე დიდი განსაცდელი მშობლების ნაადრევად გარდაცვალება იყო, რომელმაც მთელი ცხოვრება შემიცვალა... დღესაც ვერ მომინელებია ობლობის მწარე ხვედრი. უფლის წყალობით, პრობლემებს მოვერიე. წვით და გოდებით ნავალ ბილიკებს რომ გამარჯვებული გადახედავ, გული სიამაყით გევსება...

- სოფელს როგორ ჰგუობთ?

- სოფელს არ გავურბივარ, პირიქით, მიყვარს კიდეც. 1980 წლიდან 1987 წლამდე ქალაქში ვიცხოვრე, როგორც კი სოფელში ცხოვრების შესაძლებლობა მომეცა, არ დავფიქრებულვარ, ჩაქვში გადავედი საცხოვრებლად, სახლი ავიშენე, შვილებიც იქ დავზარდე...

- სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებთან რა კავშირი გაქვთ?

- ამ ეტაპზე ბევრი არაფერი, თუ არ ჩავთვლით, რომ ზოგჯერ სკოლებში გვიწვევენ. მიხარია ბავშვებთან შეხვედრა.

- გიფიქრიათ იმ უკრაინელი მწერლების ბედზე, რომელთა სამშობლო განსაცდელშია?

- სამშობლოს განსაცდელი ყველას განსაცდელია, მაგრამ შემოქმედი ხალხი მეტად მგრძნობიარეა. ომი ყველაზე დიდი სისასტიკეა, რაც კი ადამიანებს მოუგონიათ... დარწმუნებული ვარ, უკრაინა გაიმარჯვებს, უკრაინის გამარჯვება კი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების გამარჯვება იქნება ბოროტებაზე, სიბნელეზე...

„ვფიქრობ, რომ სწორედ ხელოვნების საშუალებით შევიმეცნე ჩემი ამქვეყნად მოვლინების ნამდვილი არსი“...

მე-5 გვერდიდან

დასაბამიდან ასეა
და მუდამ ასე იქნება:
სამშობლო სიყვარულია,
სიტყვებით რომ არ ითქმება!

- კოსმოსი...

- ენერგიების უკიდეგანო ოკეანეა და ის უკლებლივ უკან გვიბრუნებს ყველაფერს, რასაც ჩვენი ფიქრებითა და ქმედებებით ვუგზავნით - კარგსაც და ცუდსაც.

- წიგნი, კომპიუტერი და მე...

- ვცდილობ, ყოველთვის გამოვნახო დრო წიგნების წასაკითხავად, კომპიუტერით კი საჭიროებიდან გამომდინარე ვსარგებლობ. რომ არა წიგნი, რაოდენ ღარიბი იქნებოდა ჩვენი სულიერება და რაოდენ მწირი - ჩვენი თვალსაწიერი...

- საყვარელი წიგნი...

- გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა“. ეს ის წიგნია, რომელიც სასკოლო ასაკში წავიკითხე და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

- საყვარელი მწერალი და პოეტი...

- მწერალი - ვიქტორ ჰიუგო, პოეტი - შოთა ნიშნიანიძე.

- ლიტერატურული პერსონაჟი...

- ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“. ამ პერსონაჟის ისტორია ადამიანის განუსაზღვრელი შესაძლებლობის მაგალითია.

- განვიცდი...

- საშინლად განვიცდი, როდესაც მოწყალების სათხოვნელად ხელგაწვდილ, ცხოვრებისგან განაწამებ ადამიანებს, მაწანწალა ცხოველების მუდარით და ტკივილით სავსე თვალებს ვხედავ.

- რას ვერ ვივიწყებ...

- იმ ადამიანთა სიკეთეს, რომლებმაც გასაჭირის ჟამს, ყოველგვარი ანგარების გარეშე გამომიწოდეს ხელი.

- ხელოვნება ჩემს ცხოვრებაში...

- ვფიქრობ, რომ სწორედ ხელოვნების საშუალებით შევიმეცნე ჩემი ამქვეყნად მოვლენის ნამდვილი არსი.

- ოჯახი ჩემი ციხესიმაგრეა...

- ოჯახი ის ადგილია, სადაც ყოველდღიური საზრუნავისგან დაღლილი შვებას ვპოულობ და სულიერად ვისვენებ.

- მეგობარი სულის ნაწილია....

- როცა გვერდით ერთგული მეგობარი გყავს, მტრების არსებობა ნაკლებად გაშინებს.

- თავიდან რომ დავიბადო...

- ძალიან ბევრ რამეს შევცვლი - ეს ჩემი სურვილია, თუმცა, შეიძლება ისევ იგივე ცხოვრებით ვიცხოვრო. ყველა ადამიანს ხომ საკუთარი ჯვარი აქვს საზიდი.

- საყვარელი ფრაზა...

- „შენ შეძლებ, შენ ყველაფერი გამოგივა!“ - ეს ის ფრაზებია, რომელსაც ხშირად ვეუბნები საკუთარ თავსაც და სხვებსაც.

- ყველაზე კარგი რჩევა, რაც შენთვის მოუციათ?

- უამრავი სასარგებლო რჩევა მიმიღია კეთილისმსურველთაგან, კონკრეტულად ვერ გამოვყოფ.

- მე და ბათუმი...

- ბათუმი ჩემთვის არ არის მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი ქალაქი, რომელიც ზღვასთან და მზესთან ასოცირდება. ეს სიტყვა ყოველივე მშობლიურს იტევს.

- როგორი ბათუმი მინდა...

- ძალიან ლამაზია ჩვენი ქალაქი, მაგრამ ლადო ასათიანისა არ იყოს, „მე უფრო ლამაზი მინდა“!

- კითხვა საკუთარ თავს...

- ხშირად ვფიქრობ: შევძლებ კი ოდესმე რაიმე ღირებულის შექმნას, რომელიც ჟამთა სვლას გაუძლებს?

პირადი პირველობა – ქართულ ჭიდაობაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი მუშაობით, დაბა ოჩხამურში ქართული ჭიდაობის დარბაზი გაიხსნა და სექცია ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში აჭარის ორგზის ფალავანი, ამ დასახლების მკვიდრი რუსლან შავაძე ჩაუდგა. უნარიანმა და საქმის მცოდნე სპორტსმენმა სექციაში ადგილობრივი ჭაბუკები გააერთიანა და პირველსავე წელს კარგ შედეგებსაც მიაღწია. ჯერჯერობით მატერიალური ბაზა თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს (იგი ყოფილი ოჩხამურის მეურნეობის სასადილო დარბაზშია შეკედლებული), მაგრამ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ოჩხამურელების სურვილი და მალე მათი შვილების განკარგულებაში ნორმალური სპორტული დარბაზი იქნება. მიუხედავად ამისა, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის მესვეურებმა წლის პირველი პირადი პირველობა 2009-2011 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის, სწორედ ოჩხამურში გამართეს.

8 წონით კატეგორიაში ბათუმის, ქობულეთის, შუახევისა და ხულოს სასპორტო სკოლების 38 მოჭიდავე ცდიდა ძალებს. ასპარეზობის დაწყებამდე, სპორტსმენებმა და გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მეზობელ თურქეთში მიწიძვრის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას. პირველობის მონაწილეებს მიესალმნენ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე, შეჯიბრების მთავარი მსაჯი, ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გელა ზოიძე, ვიცე-პრეზიდენტი აკაკი მახარაძე.

ჯემალ წულუკიძემ დაბა ოჩხამურის ქართული ჭიდაობის სექციის ჩამოყალიბების, აჭარაში ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისთვის, ფედერაციის მადლობის სიგელი გადასცა დაბა ოჩხამურის მკვიდრს, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ფედერაციის ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ორგზის აჭარის აბსოლუტურ ფალავანს ქართულ ჭიდაობაში რუსლან შავაძეს.

საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლებში, სხვადასხვა წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 35-კილოგრამიან წონით კატეგორიაში პირველი იყო შუახეველი ლუკა ბოლქვაძე, მეორე-მესამე ადგილებზე ქობულეთელები ხვიჩა კახაძე და ზაზა ბერიძე გავიდნენ. 40-კილოგრამიან წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილები, შესაბამისად, ქობულეთელებმა ლუკა სურმანიძემ, ნიკა ბიბინიძემ და დაჩი ბარამიძემ გაიყვეს. 45-კილოგრამიან წონით კატეგორიაში ისევ ქობულეთელებმა ლერი შაინიძემ, საბა შავაძემ და მიშიკო ბერიძემ გაიმარჯვეს, 50-კილოგრამიან წონით კატეგორიაში შუახეველებმა საბა ებრალიძემ, ანრი ბოლქვაძემ და ბათუმელმა თენგო იაკობაძემ იყოჩაღეს. ბათუმელებს ჩემპიონი 55-კილოგრამიან წონით კატეგორიაში ჰყავთ, იგი გაბრიელ ქაჯაიაა. 60-66-კილოგრამიან წონით კატეგორიებში ჩემპიონები ქობულეთელები ზურა ბერიძე და გიორგი ქამადაძე გახდნენ. აბსოლუტურ წონაში საპრიზო ადგილები კი ბათუმელმა საბა ბოლქვაძემ, შუახეველმა ნიკა ბერიძემ და ქობულეთელმა დათა სურმანიძემ გადაინაწილეს.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციამ შესაბამისი სინჯის მედლებით, სიგელებით, თასებითა და სპორტული ტანსაცმლით დააჯილდოვა.

პირადმა პირველობამ გამოავლინა აჭარის ჭაბუკთა ნაკრები, რომელიც 2009-2011 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, მარტში, საქართველოს პირად პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

შეჯიბრება აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

ასპარეზობის დასრულების შემდეგ, კომენტარი ჯემალ წულუკიძეს ვთხოვეთ: „მისასალმებელია, რომ ქართული ჭიდაობა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ასე პოპულარული ხდება. ეს იმ დიდი მხარდაჭერის გამოძახილია, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა და თვითმმართველობა იჩენენ. ჩვენი ეგიდით გამართულ შეჯიბრებებს მრავალი გულშემატკივარი ჰყავს, თუმცა ოჩხამურმა ყველას აჯობა. ნაშრომ-ნაამაგარს ვერ დავუკარგავთ ოჩხამურის ქართული ჭიდაობის სექციის ხელმძღვანელ რუსლან შავაძეს. წლის სტარტზე ჩატარებულმა ჩემპიონატმა გვაჩვენა, რომ ყველას კარგად აქვს გათავისებული სპორტის ამ სახეობის მნიშვნელობა, რაც შარშან გამართულმა მსოფლიო ჩემპიონატმაც ცხადყო. სულ მალე ირანში მივემგზავრებით, სადაც ჩვენს სპორტსმენებს პრესტიჟის დასაცავად საინტერესო ორთაბრძოლები ელოდებათ. ისიც სათქმელია, რომ ამ ქვეყანაში ქართულ ჭიდაობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ“.

სტრესი და აგრესია როგორც კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სტრესის, აგრესიის და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული ძალადობის პრობლემა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებში. თანამედროვ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები და კრიზისები გამოიხატება აგრესიის გამოვლინებით, რასაც მასობრივი ხასიათი აქვს.

ჩვენ ვცხოვრობთ ტექნოლოგიების ეპოქაში, რომელიც შლის საზღვრებს, აჩქარებს პროცესებს, აადვილებს ცხოვრებას, მაგრამ ამავე დროს უფრო დაუცველებს გვხდის სტრესის მიმართ. სტრესი და, შედეგად, აგრესიულობა მრავალმხრივი პრობლემაა. თანამედროვე ადამიანი მუდმივად ცხოვრობს სტრესის ზღვარზე. ტერმინი „სტრესი“ უკვე ნაცნობი გახდა ჩვენს ყოველდღიურ ლექსიკაში. ემოციური სტრესი და აგრესია წარმოიქმნება კონფლიქტურ სიტუაციებში, როდესაც სუბიექტები ვერ აკმაყოფილებენ თავიანთ საბაზისო სოციალურ ან ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს კონკრეტული დროის განმავლობაში. გაეროს სტატისტიკური მონაცემებით, ინტერპერსონალური ძალადობა მეოთხე ადგილზეა სიკვდილის გამომწვევ მიზეზთა სიაში 15-29 წლის ასაკში. აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული პრობლემების ყოვლისმომცველი შესწავლა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ.

2022 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა ცენტრის“ ხელმძღვანელობითა და გაერთიანებული სამეფოს მდგრადი მშვიდობისთვის COBERM-ის დამატებითი ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა პროექტი „მამაკაცების და ბიჭების ჩართულობა გენდერული თანასწორობის მისაღწევად“. პროექტის რიგი აქტივობა ჩატარდა აჭარის რეგიონში. ეს იყო კურიკულუმის გარე აქტივობების ფარგლებში წაკითხული ლექციების ციკლი (სულ 30 ლექცია) ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან.

ლექციებს ესწრებოდნენ სტუდენტები სხვადასხვა ფაკულტეტიდან: იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა, ტურიზმის, ეკონომიკის და ბიზნესის და ა. შ. ლექციების თემატიკა იყო მრავალფეროვანი. აქცენტი კეთდებოდა მასკულინობის პრობლემაზე, მამაკაცების ჩართულობაზე გენდერული თანასწორობის მიღწევაში; ძალადობის ფენომენზე ზოგადად და კერძოდ გენდერულ ძალადობაზე, ნაადრევ ქორწინებაზე და სოციალურ კონფლიქტებზე. ამასთან ერთად, სტრესი-აგრესიის პრევენციაზე, მართვასა და მენეჯმენტზე. პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდებს საშუალება ეძლეოდათ, საჭიროებისამებრ მიეღოთ ფსიქოლოგიური კონსულტაცია ცხელი ხაის მეშვეობით.

პროექტის მეორე ეტაპი ითვალისწინებდა მოსახლეობასთან შეხვედრებს. სულ ჩატარდა ხუთი შეხვედრა ქალაქის სხვადასხვა უბანში. კერძოდ, მაიაკოვსკის, აღმაშენებლის, 9 მარტის, ლეონიძის და ინასარიძის ქუჩებზე. შეხვედრებს ესწრებოდნენ მამაკაცები და ქალბატონები, აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული პირები. მონაწილეებს დაურიგდათ ორგანიზაციის მიერ დამზადებული საინფორმაციო ფლაერები და ბროშურები.

ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების განხორციელება როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე მოსახლეობასთან, რაც ხელს შეუწყობს ქცევის ცვლილებას/კორექციას ყველა ტიპის ძალადობის შესამცირებლად, სტრესისა და აგრესიის პროფილაქტიკას, პრევენციას და მოსახლეობის ინფორმირების, ცნობიერების ამაღლებას.

საქველმოქმედო კავშირი „ქალთა ცენტრი“

პატივი მიაგეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

52 წელი გვაშორებს იმ ტრაგიკულ საღამოს, როცა რამდენიმედღიანი თოვის შემდეგ, აჭარის მთიანეთის ცალკეულ ტერიტორიებზე ზვავები ჩამოწვა

მას ადამიანების მსხვერპლი მოჰყვა შუახევისა და ხულოს რაიონების სოფლებში. უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წაბლანაში სტიქიამ ერთი ოჯახის ოთხი წევრი შეიწირა. მსხვერპლი იყო ხულოს რაიონის სოფელ აგარაშიც. ყველაზე დიდი ტრაგედია სოფელ ღურტაში დატრიალდა, სადაც ზვავმა 22 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

დრომ ვერ განკურნა დიდი ტკივილი. კეთილი ადამიანების თანადგომით სოფლის ტერიტორიაზე ხსოვნის მემორიალი გაკეთდა, სადაც ყოველი წლის 11 თებერვალს ღურტელები, ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, მოსწავლეები იკრიბებიან, გვირგვინითა და ყვავილებით ამკობენ მემორიალს, წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ დაღუპულთა ხსოვნას. ასე იყო წელსაც. ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, მერის მოადგილეებმა ნადიმ ვასაძემ, თამაზ აბაშიძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძემ მემორიალი ყვავილებით შეამკეს. მოსწავლეებმა ტრაგედიის ცალკეული ეპიზოდები და მას შემდეგ განვითარებული მოვლენები გაიხსენეს.

- მთას ბუნებრივი კატაკლიზმები ყოველთვის ახასიათებს. ადამიანები მათ წინაშე უძლურები ვართ. ბუნებაში ზედმეტ ჩარევასაც სიკეთე არ მოაქვს, რაც მრავალგზის დადასტურდა. ნათელი დაადგეთ იმ ადამიანების სულებს, რომლებიც ბუნების განრისხებას შეეწირნენ. ჩვენი და თაობების ვალია, მათ ხსოვნას პატივი მივაგოთ, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

ბათუმის სანაპიროსთან... საზღვაო ნაღმი აფეთქდა (?!)

ასეთი ვარაუდი გამოთქვა სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა: „გავრცელებული ვიდეოკადრების მიხედვით, სავარაუდოდ, საზღვაო ნაღმის აფეთქება მოხდა, რომელიც ზღვამ სანაპიროზე გამორიყა. ერთი წლის წინ ამ საფრთხეზე ვსაუბრობდით და ასეთი სათაურიც გვქონდა სტატიაზე „როდის ველოდოთ აჭარის სანაპიროზე ღუზამოწყვეტილ მოტივტივე საზღვაო ნაღმების სტუმრობას, მაშინ, როდესაც რუმინელები და თურქები მათ უკვე იჭერენ?“... ზუსტად ერთი წლის წინ, როდესაც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ძალები დიდი სადესანტო ხომალდებიდან აპირებდნენ საზღვაო დესანტის გადასხმას ოდესა-ოჩაკოვის მონაკვეთზე, მაშინ უკრაინელებმა, თავდაცვის მიზნით, ამ სანაპირო ზოლთან საზღვაო ნაღმების განთავსება მოახდინეს. რუსებმა საზღვაო დესანტის გადასხმა ვეღარ გაბედეს, მაგრამ დროთა განმავლობაში, ეტყობა, ზღვის ღელვამ, შტორმმა ამ საზღვაო ნაღმების ნაწილი ღუზებს მოწყვიტა და ზღვაში გამოიტანა. ამ ხნის განმავლობაში ბულგარეთის, რუმინეთის და თურქეთის სანაპიროსთანაც იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოტივტივე საზღვაო ნაღმები აღმოაჩინეს და შემდეგ დისტანციიდან სროლით ააფეთქეს“.

ამირან გურიელიძე

ბათუმის ბიუჯეტი 33 მილიონ 50 000 ლარით გაიზარდა

პირველი გვერდიდან

საკრებულომ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება, არსებული გამოწვევების გადაჭრის გზების მოძიება და აღსრულება იმგვარად, რომ ისინი პასუხობდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საკრებულომ ქალაქის ოთხ ლოკაციაზე (მეჯინისწყალზე, ფრიდონ ხალვაშის ქ. №188-ში; რუსთაველის ქ. №20-ში; რუსთაველის ქ. №21-ში; ფარნავაზ მეფის ქ. №68-ში) დაამტკიცა განაშენიანების დეტალური გეგმები. აღსანიშნავია, რომ მოცემულ მისამართებზე საკრებულოს უკვე მიღებული ჰქონდა განაშენიანების კონცეფციები, ხოლო გუშინდელ სხდომაზე დაამტკიცა განაშენიანების მეორე ეტაპზე გათვალისწინებული დეტალური გეგმები.

საკრებულომ დაადგინა ქალაქ ბათუმში სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, ასევე, დაამტკიცა ცვლილებები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, რეჯებ ნიჟარაძის ქუჩის №6-ის მიმდებარედ არსებული 44,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ასევე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქ. №231-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

სხდომაზე ცვლილება შევიდა „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულებაში. მიღებული ცვლილება პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს იმ ოჯახებს, რომლებიც ბათუმში რეგისტრირებული იყვნენ 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულების ამოქმედებამდე.

საკრებულომ მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ ფარგლებში ქ. ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქ. №82-ში აშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში ბინების ღირებულებისა და ბენეფიციართა მიერ ყოველთვიური გადასახადის ოდენობაც განსაზღვრა.

13 თებერვალს გამართულ სხდომაზე დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ სულ 12 საკითხზე იმსჯელეს და დაამტკიცეს.

სხდომის დაწყებამდე დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თურქეთსა და სირიაში მიწისძვრით დაღუპულთა ხსოვნას.

გახსენება

ვიქტორ აბუსელიძე



არიან ადამიანები, რომელთა სახელსა და წვლილს დრო და ჟამი ვერაფერს აკლებს. ისინი გარდაცვალების შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს, ღრმა კვალს ტოვებენ ერის სულიერ ცხოვრებაში, იდეალად რჩებიან თაობებისთვის, რადგან „მზე ჩასვლის შემდეგაც რჩება მნათობად“. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდით თქვენ, ჩვენო ვიქტორ, ერთი წლის წინ 76 წლის ასაკში რომ დაგვაკლდით და თამაზ ცინცაძე, კორონამ რომ იმსხვერპლა. ჩვენ - ოჯახის წევრები, მეგობრები და თანამოაზრეები შევიკრიბეთ სულმნათი ვიქტორის საფლავთან, წასული მეგობრების მოსაგონებლად. გპირდებით, რომ არ დაგივიწყებთ, თქვენს საქმეს გავაგრძელებთ, მოვალთ თქვენს საფლავებთან ყვავილებით, პატივსაცემად, თქვენი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

დაუვიწყარი იქნება უხუცეს ექსპერტთა კავშირში ჩვენი ერთად მუშაობა, კავშირის წევრთა დაბადების დღეებზე თქვენი მოძღვნილი ლექსები ჩვენი ერთობის, ძმობა-მეგობრობის სიმბოლოდ დარჩება აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივგებისა და მადლიერების საზოგადოების საიუბილეო დღეების მოსალოცად ადრესატებთან ერთად.

ძვირფასო წასულო მეგობრებო, თქვენი ოჯახები, მეუღლეები, შვილები, შვილიშვილები, თქვენი მეგობრები თუ მეზობლები, თქვენი სახელისა თუ ღვაწლის დაფასებისა და მოგონების გარანტი ვიქნებით. უფალმა გაცხონოთ, ჩვენ კი აქ ძალა და უნარი არ მოგვიშალოს თქვენი ხელმძღვანელობით დაწყებული საქმის გასაგრძელებლად, თქვენს მოსაგონებლად, ხსოვნის დიდხანს შესანახად.

ცხონდეს თქვენი სულები უკუნითი უკუნისამდე.

მეგობრების სახელით, სერგო დუმბაძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 13/02/23, 20 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ამა თუ იმ პერსონაჟის როლს რომ ვასრულებ, ყოველთვის ვგრძნობ მას“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში რეჟისორმა ნუკრი ქანთარიამ სპექტაკლი „სოფელსა შინა“ მიხეილ ჯავახიშვილის პიესის „შერცხვენილნი“ მიხედვით დადგა

სპექტაკლში დამატებულია პერსონაჟი ჯიბო, რომელიც პიესაში არ გვხვდება. სწორედ ის გვიყვება იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც სცენის მიღმა ხდება და მაყურებელი ვერ ხედავს. ჯიბო სხვებისგან განსხვავებულია, მას წარმოსახვითი ცხენიც ჰყავს, რომელსაც მუდამ დაჭენებს. კეთილი და გულუბრყვილოა... გონივრულ ფრაზებსაც ამბობს და სპექტაკლში სხვა ფერები შემოაქვს. ამ პერსონაჟს დრამისა და კინოს ახალბედა მსახიობი ***მიხეილ ღომიძე*** *ასახიერებს.*

მიხეილი ბათუმში დაიბადა, დაამთავრა ბათუმის მე-2 საჯარო სკოლა, შემდეგ ჯერ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა, სანავიგაციო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე ჩააბარა, თუმცა, როგორც გაგვიმხილა, ეს პროფესია არ იყო მისი ინტერესის სფერო, მხოლოდ მისი დასახელება შეეძლო სხაპასხუპით, ამიტომ მეორედ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დრამისა და კინოს სამსახიობო ფაკულტეტზე ჩააბარა, შემდეგ კი რეჟისორის სპეციალობასაც დაეუფლა, მეუღლე და ორი შვილი ჰყავს. იგი თავის შემოქმედებაზე და პერსონაჟზე გვესაუბრება.

- მიხეილ, როდის დაიწყეთ სპექტაკლებში მონაწილეობა? პირველი ნაბიჯები ამ სფეროში...

- პირველი სპექტაკლი, რომელშიც ვითამაშე, ოთარ ქათამაძემ დადგა „დაუსრულებელი ისტორია“. ეს იყო პირველი ნაბიჯები ჩემს შემოქმედებით გზაზე. მახსოვს ის უსაზღვრო მღელვარება და დღესაც თვალწინ მიდგას. სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ ვთამაშობდით ღია ცის ქვეშ - ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე. მიკროფონებით გვიწევდა თამაში და მახსოვს, უამრავი მაყურებელი გვყავდა, რომლის წინაშე უშეცდომოდ უნდა გვეთამაშა. პირველი ტაში მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში შემიძლია ავხსნა. სპექტაკლის დასრულებამდე ემოციებისგან რომ ვიცლებოდი და ვიფიტებოდი, პირველი ტაშის ხმის გაგონებისას თითქო ყველა ის უჯრედი, სადაც სიცარიელეს ვგრძნობდი, რაღაც უფრო მნიშვნელოვანით ივსებოდა.

- სარეკლამო რგოლებსა და მოკლემეტრაჟიან ფილმებშიც მონაწილეობდით, გადაღების პროცესი უფრო გიზიდავთ თუ სცენაზე თამაში?

- ამ სფეროში აქტიურად რომ ჩავერთე და ამ პროფესიის სიღრმისეული შესწავლა დავიწყე, მივხვდი, რომ ეს საქმე ყოველდღე გმატებს რაღაცას და უსაზღვროდ საინტერესოა. სტუდენტობის დროსაც გვიწევდა სარეკლამო რგოლებში, სპექტაკლებში, მოკლემეტრაჟიან ფილმებში მონაწილეობა და მას შემდეგაც. დრამისა და კინოს მსახიობის პროფესია კამერასთან მუშაობასაც გულისხმობს, თუმცა, სამწუხაროდ, ეს პრაქტიკა უნივერსიტეტში არ გაგვივლია, რაც ძალიან ცუდია. მხოლოდ თეატრზე და სცენაზე იყო ორიენტირება. საერთოდ არ გვიწევდა კამერასთან მუშაობა და როცა რეკლამის, ან ვიდეორგოლის გადაღებაში ვმონაწილეობდი, სანამ ცოტაოდენ გამოცდილებას მივიღებდი, ყოველთვის მიჭირდა. სცენასაც და კამერასაც უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ამ სფეროში, თუმცა სცენის სიჩუმე, ამ მომენტის განცდა, შენს თვალწინ მსხდომთა ტაშით რომ სრულდება და ისევ სიჩუმე რომ ისადგურებს... სასწაულია. უპირობოდ - სცენა.

- სპექტაკლში „სოფელსა შინა“ ჯიბოს როლს ასრულებთ, ის სხვებისგან გამორჩეული პერსონაჟია, სამყაროს თავისებურად აღიქვამს. რამდენად რთული იყო ამ როლის თამაში, მისი ხასიათის მორგება?

- ბატონმა ნუკრი ქანთარიამ დაამატა პერსონაჟი ჯიბო და მიხარია, რომ მისი გაცოცხლების შანსი მომეცა. არადა, რთული იყო ჯიბოს თამაში. ეს ისეთი რამაა, რასაც თამაშისას ოდნავ გადამეტებაც კი ეტყობა, მაგრამ არც უნდა დააკლო. ძალიან სათუთი და მოსაფრთხილებელია. თვითონ პერსონაჟი, მართლაც, განსხვავებულია - ყველა სოფელს ჰყავს ერთი გიჟიო, ხომ გაგიგიათ? ძალიან გულუბრყვილოა, ყველასი სჯერა, იოტისოდენა აგრესიაც არ გააჩნია არავის მიმართ. აქვს დროშა, რომელსაც სულ თან დაატარებს, მთავარი გმირის - შალვას დიდი გულშემატკივარია და ჰყავს ცხენი, რომელიც არასდროს ჩანს, თუმცა სულ დააჭენებს და უსაზღვროდ ბედნიერია.

- როცა როლში ხართ, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი?

- პერსონაჟს ბოლომდე გრძნობდე. ამა თუ იმ პერსონაჟის როლს რომ ვასრულებ, ყოველთვის ვგრძნობ მას. ვიცი მისი წარსული, განვლილი ცხოვრება იმ მომენტამდე, სადამდეც მოვიდა და შესაბამისად განვიცდი მას.

- რომელ სპექტაკლებში მონაწილეობთ?

- „ბოლო გაჩერება“, „დედა კურაჟი“, „ჰელადოსი“...

- კიდევ რა სფეროები გიზიდავთ?

- ვგიჟდები ნადირობაზე, თევზაობასა და ლაშქრობაზე. ისე, სულ მინდოდა კოსმონავტობა, ალბათ, ყველაზე მეტად იქ ვიქნებოდი მშვიდად. იქ ყოფნისას არ მოვისმენდი, არ დავინახავდი არანაირ ბოროტებას... და გარდაცვალების შემდეგ ნახევარი გზაც განვლილი მექნებოდა (იცინის).

- ამჟამად რომელ პიესაზე მუშაობთ?

- პიესაზე „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. დამდგმელი რეჟისორი ბატონი ნუკრი ქანთარიაა და ძალიან საინტერესოა ჩემთვის მასთან მუშაობა. ამ სპექტაკლით მაყურებელი უფრო სახალისო, მრავალფეროვან და კარგ სანახაობას იხილავს, ვიცი, ბევრ კარგ ემოციას დაუტოვებს მათ.

- თქვენი გეგმები...

- მინდა ბევრი ვისწავლო, შევისისხლხორცო ის პროფესია, რომელიც ასე ძალიან მიყვარს და ვასიამოვნო ის მაყურებელი, რომელიც სცენიდან რაღაც განსაკუთრებულს ელოდება. მინდა ვიყო კარგი არა მხოლოდ სცენაზე, მის მიღმაც = ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი, რომელიც ძალიან საჭირო პროგრამებს ახორციელებს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი „ჯიჭი“ (დირექტორი - მაია ხაჭაპურიძე), როგორც კერძო სტრუქტურა, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა, რომელსაც რვა ათეული წლის ისტორია ჰქონდა. ამჟამად, სხვადასხვა პროგრამით და ცენტრის მომსახურებით ათობით ბენეფიციარი სარგებლობს

აქ ხორციელდება ქალაქ ბათუმის მერიისა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აუტიზმის, ადრეული განვითარების, ფსიქოსომატური, ასევე, მოზრდილთა რეაბილიტაციის, სქოლიოზის პროგრამები, რომლებიც ბენეფიციართათვის უფასოა.

ამ ბოლო წლებში რატომღაც მოიმატა ასეთი პაციენტების რიცხვმა და ამჟამად აქ სხვადასხვა პროგრამაში საკმაო რაოდენობის ბავშვია ჩართული. პაციენტებს შესაბამისი პროგრამებით უტარდებათ ფიზიკური თერაპია, ასევე, მეტყველების თერაპია და ფსიქოლოგიური მომსახურება, მათ ემსახურებათ მულტიდისციპლინური ჯგუფი.

როგორც ექიმმა ნეიროორეაბილიტოლოგმა, თერაპევტმა ქეთევან კილაძემ გვითხრა, ცენტრში, სპეციფიკის გათვალისწინებით, ტარდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სამკურნალო ვარჯიშები. ფსიქოსომატური პროგრამა მოიცავს ბავშვთა ცერებრული დამბლით, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიებით დაავადებული ბავშვების, ასევე დაუნის სინდრომის, ეპილეფსიის გართულებებით დაავადებული მოზარდების მკურნალობას. პროგრამა 0-დან 18-წლამდე კონტინგენტზეა გათვლილი.

ფსიქოსომატური პროგრამის ფარგლებში პაციენტებს უტარდებათ (ამჯერად ვაუჩერები ყოველთვიურია და მას სახელმწიფო აფინანსებს) ლოგოპედის, ფსიქოლოგის, ფიზიკური თერაპიის კურსი. არსებობს ასევე ადრეული განვითარების პროგრამა, რომლის ფარგლებში ბავშვებს, რომლებსაც აზროვნების შეფერხება აქვთ, ან ასაკობრივად არ შეეფერება მათი განვითარების დონე ამა თუ იმ ასაკს, შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ (მეტყველების თერაპია და ფსიქოლოგი). თითოეულ ვაუჩერში რვა პროცედურა შედის.

„ჯიჭი“ ჩართულია აუტიზმის პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს ფსიქოლოგის, ლოგოპედისა და ფიზიკური თერაპიის მომსახურებას.

ამ ცენტრში ასევე არის მოზრდილთა რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც 18-დან ასაკს მოიცავს. მასში შედის ინსულტის, მოტეხილობების შემდგომი პერიოდის რეაბილიტაცია. ასევე, ცენტრში პროგრამით ხორციელდება სკოლიოზის მკურნალობა, რომელიც მოიცავს ფიზიკურ თერაპიას - სამკურნალო ფიზკულტურასა და მასაჟს.

ამ პროგრამების ბენეფიციარები სოციალურად დაუცველები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ასევე მრავალშვილიანი ოჯახის წევრები არიან.

როცა ზოგიერთი ბენეფიციარის ტრანსპორტირება გართულებულია, ხდება მათი ბინაზე მომსახურება, ამ დროს ცენტრის სპეციალისტები - მეთოდისტები, მასაჟისტები მათ ადგილზე უწევენ სათანადო დახმარებას. ვისაც ტრანსპორტირება შეუძლია, ის ცენტრში იტარებს საჭირო პროცედურებს. ცენტრს აქვს შესაბამისი პანდუსი და მათ ამის გამო პრობლემა არ ექმნებათ.

ბენეფიციარებს ადგილზე ხვდებათ ექიმი-რეაბილიტოლოგები ნუნუ თურქია, ილია სოლომონიძე, გულქერ სოლომონიძე, ექიმები რუსუდან ხომასურიძე, ქეთევან კილაძე, გადამზადებული მეთოდისტები (ფიზკულტურის სპეციალისტები) დავით გოგუა და მზია ბრუნჯაძე, ლოგოპედები, ფსიქოლოგები... ასევე, მასაჟისტები. სკოლებში უკვე სკრინინგით აღარ მოწმდებიან ბავშვები, როგორც ადრე იყო. ახლა პედიატრი, ოჯახის ექიმია ვალდებული, რომ გამოავლინოს ესა თუ ის დაავადება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში აუცილებელია მშობელიც ყურადღებით იყოს და ბავშვის ჩივილს ყურადღება მიაქციოს.

უნდა ითქვას, რომ ცენტრში თითოეული ექიმი თავისი საქმის პროფესიონალია, აქ დამწყები სპეციალისტები არ ჰყავთ, ამიტომ პაციენტებს კვალიფიციურ დახმარებას უწევენ. ცენტრში მუშაობს გამოცდილი ცოლ-ქმარი, რომლებიც დიპლომირებული რაებილიტოლოგები არიან.

- რამდენად შედეგიანია ის მკურნალობა, რასაც აქ ბენეფიციარებს უტარებენ? - ვკითხეთ რეაბილიტოლოგ ილია სოლომონიძეს, რომელმაც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თურქეთში მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება სწორედ ამ სფეროში მიიღო. იქ კერძო საავადმყოფოებში, ცენტრებში მუშაობდა. მის მეუღლეს ანკარაში აქვს დამთავრებული სამედიცინო უნივერსიტეტი.

- ჩემთან მოსულ ბავშვებს, ძირითად, სახსრებთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, - გვითხრა ილია სოლომონიძემ, - ცერებრული დამბლით, დაუნის სინდრომით დაავადებულ ბავშვებს კიდურების მოხრილობა აქვთ - ვერ შლიან. ისინი პროგრამის ფარგლებში თვეში რამდენჯერმე მოდიან და შესაბამის მკურნალობას გადიან. - ზოგის პრობლემა ჩერდება იმ ეტაპზე, რაც არის და არ უარესდება, ზოგის შედეგი კი თვალნათლივ ჩანს. ყველაზე კარგი შედეგი პატარებთან გვაქვს, ამიტომ ჯობს ადრეულ ასაკში დაიწყოს ეს რეაბილიტაცია, რადგან ბავშვის კუნთები უფრო მომყოლი და განვითარებადია, ასაკთან ერთად კი მკურნალობის ხანგრძლივობა იზრდება.

- შვიდი წლისაა ჩემი შვილი დაჩი და აქ უკვე სამ წელზე მეტია დამყავს. კმაყოფილი ვარ, რადგან შედეგს ვხედავ. მას აუტიზმი დაუდგინდა, ახლა პირველ კლასშია და ჩვეულებრივად კითხულობს, წერს... ქცევებიც მოუწესრიგდა. წელიწადში ერთხელ პროგრამას ვაახლებთ და მთელი წლის განმავლობაში დაგვყავს. ეს უფასოა და კარგი შეღავათია მშობლებისთვის, თანაც კარგი სპეციალისტები გვემსახურებიან, - გვითხრა დაჩის დედამ.

- ძალიან კმაყოფილი ვარ ამ ცენტრით, ოთხი წელია დავდივართ და წინსვლა ნამდვილად გვაქვს, ჩემი შვილი ახლა რვა წლისაა, აუტისტია, თერაპიებს გადის, ვარჯიშობს. მშობლებმა აუცილებლად უნდა ატარონ ბავშვები ცენტრში, ეს მათ შვილებს ცხოვრებას გაუუმჯობესებს, - გვითხრა მშობელმა მაია ბაბიაშვილმა.